

**ინფორმაცია 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით
გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ**

1. პრიორიტეტი – ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
35 02	სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა	1,972,115.3	1,972,115.3	1,971,490.6	1,971,490.6	
35 03	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	577,464.7	577,464.7	588,279.2	588,279.2	
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	52,932.2	51,382.2	53,430.5	52,567.5	863.0
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	31,686.8	31,686.8	30,446.9	30,446.9	
27 04	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით	14,936.4	14,936.4	13,300.8	13,300.8	
29 03	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	11,488.8	7,688.8	11,440.7	7,634.2	3,806.5
30 04	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	4,524.4	4,424.4	4,637.8	4,423.5	214.3
35 05	შრომის პირობების მონიტორინგის პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	
29 06	ვეტერანთა მხარდაჭერა	3,528.4	3,528.4	1,889.1	1,889.1	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		2,668,676.9	2,663,226.9	2,674,915.6	2,670,031.8	4,883.8

1.1. სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგი:

- მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ადეკვატური სერვისებით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- დაფინანსდა სამიზნე ჯგუფების ფულადი დახმარებები და სოციალური მომსახურებები;
- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციარების დაფინანსება სოციალური გასაცემებით, სრულად და დროულად.
- შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მათ შორის, ბავშვები), ხანდაზმულები და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებული, სოციალურად დაუცველი, მიუსაფარი ბავშვები უზრუნველყოფილი არიან პრევენციული, სარეაბილიტაციო და ალტერნატიული მომსახურებებითა და დამხმარე საშუალებებით, გაუმჯობესებულია მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- სახელმწიფო პენსია მიიღო თვეში საშუალოდ 700.0 ათასამდე პირმა, სახელმწიფო კომპენსაცია - თვეში საშუალოდ 20.0 ათასამდე პირმა, საარსებო შემწეობები - თვეში საშუალოდ 433.0 ათასამდე პირმა, რეინტეგრაციის შემწეობა - თვეში საშუალოდ 278-მა პირმა, საყოფაცხოვრებო სუბსიდია-თვეში საშუალოდ 38.0 ათასმა პირმა, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები - თვეში საშუალოდ 215.0 ათასამდე პირმა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება - თვეში საშუალოდ 985.0 ათასამდე პირმა, სოციალური პაკეტი - თვეში საშუალოდ 160.0 ათასამდე პირმა, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება - თვეში საშუალოდ 983-მა პირმა.
- 2014 წლის 1 მარტამდე ორგანიზებულად განსახლებულ ერთ დევნილზე, ლტოლვილზე და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა შეადგენდა 22 ლარს, ხოლო კერძო სექტორში განსახლებულ ერთ დევნილზე, ლტოლვილზე და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა - 28 ლარს, 2014 წლის 1 მარტიდან ერთ დევნილზე, ლტოლვილზე და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა განისაზღვრა 45 ლარის ოდენობით;
- 2014 წლის 1 ივნისიდან დაიწყო მესამე და ყოველი მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო ფულადი დახმარების გაცემა საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ბავშვის (ბავშვების) დაბადების წლის წინა მე-2 და მე-3 წელში წლიური ბუნებრივი მატების საშუალო დადებითი მაჩვენებელი არ ფიქსირდება.
- ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის და ომში დაღუპულთა თითოეული მარჩენალდაკარგულისათვის გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება;

1.2. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

2.1. ჯანმრთელობის დაზღვევა (პროგრამული კოდი 35 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ: საქართველოს მთავრობის N165 და N218 დადგენილებებით განსაზღვრული ბენეფიციარები 2014 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე პერიოდში, ეტაპობრივად ინტეგრირდებოდნენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში, ხოლო 2014 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნული კონტიგენტი მთლიანად მოიცვა „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ პროგრამამ.

1.2.2 მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე მოსახლეობის როგორც ამბულატორიული (გადაუდებელი და გეგმური), ასევე სტაციონარული (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, გეგმური ქირურგია, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, მშობიარობა/საკეისრო კვეთა) სამედიცინო დახმარება. ამასთან, პროგრამაში იგივე პირობებით სრულად ინტეგრირდნენ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების მოსარგებლეები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებებით უზრუნველყოფილია საქართველოს მთელი მოსახლეობა (გარდა კერძო სადაზღვევო სქემებში მონაწილე პირებისა).

1.2.3 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- გადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.

მიღწეული სშუალედური შედეგები:

- ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით;
- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა.
- უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება;
- ინფექციური სნეულებებით დაავადებული მოსახლეობისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება;
- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომად ფუნქციონირებს ტუბერკულოზის ამბულატორიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისები;
- აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით.
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა;
- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუშუს (10%-ით), პროსტატის (7%-ით) და კოლორექტალური კიბოს სკრინინგში (7%-ით) მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი, მცირედ შემცირდა საშვილოსნოს ყელის სკრინინგში მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი;
- იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელი უმეტესი ვაკცინების მიხედვით (>80%);
- მაღარიის პრევენციის მიზნით, პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად ჩატარებული სპეციალური სკრინინგული კვლევების რიცხვი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი;
- უსაფრთხო სისხლის პროგრამის ფარგლებში დონაციათა რაოდენობის ზრდა 16%-ით. უანგარო დონაციათა რაოდენობამ საერთო დონაციების რაოდენობის 29% შეადგინა;
- 2013 წელს ინფექციური დაავადებით ჰოსპიტალიზირებულ პირთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენდა 1,2%-ს;
- 2013 წელს ყოველ 100 000 მოსახლეზე ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევის გამოვლენის მაჩვენებელმა შეადგინა 74.8, რაც 11%-ით ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით;
- 2013 წელს გამოვლენილი იყო აივ ინფექციის 490 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 10.9 – 10 000 მოსახლეზე), რაც თითქმის 7% ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

1.2.3.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგი

- ონკოლოგიური დაავადებების გვიანი დიაგნოსტიკების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაიზარდა ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკების შემთხვევების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2013 წელთან შედარებით 21%-ით გაზრდილი ბენეფიციართა რიცხვი;
- 2013 წელთან შედარებით (10%-ით) გაზრდილი ძუძუს, (7%-7%-ით) გაზრდილი პროსტატის და კოლორექტალური კიბოს სკრინინგში მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი, (7%-ით) შემცირებული საშვილოსნოს ყელის სკრინინგში მონაწილე ბენეფიციართა რიცხვი.

1.2.3.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ქვეყნის მოსახლეობა უზრუნველყოფილია იმუნოპროფილაქტიკისათვის საჭირო მასალის და აღჭურვილობის აუცილებელი მარაგით;
- გაიზარდა იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი უმეტეს ვაქცინებთან მიმართებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებელმა ცალკეული ვაქცინების შესაბამისად შეადგინა (>80%): (ბცქ (ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ვაქცინა) – 97,1%; ჰეპატიტი B – 94,5%; დეცტ+ჰეპB+ჰიბ3 (ერთ წლამდე ბავშვებში) – 92,4 %; დეცტ (18 თვის ბავშვებში) – 78,8 %; ოპვ3 (პოლიომიელიტის ვაქცინა ერთ წლამდე ბავშვებში) – 90,7 %; ოპვ4 (18 თვის ბავშვებში) – 86,4 %; ოპვ5 (5 წლის ბავშვებში) – 79,7 %; წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა 1 – 93,4 %; წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინა 2 – 79,2 %; დტ (დიფტერია-ტეტანუსი) – 80,8 %; ტდ (ტეტანუსი-დიფტერია) – 65,2 %; როტა 1 – 79,7 %; როტა 2 – 71,3 %).

1.2.3.3 ეპიდზედაშედეგულობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- მაღარი პრევენციის მიზნით სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა პროტოზოული დაავადებების და ჰელმინთოზების გამოსავლენად ჩატარებული კვლევების რაოდენობა გაზრდილია 1171-ით 2013 წელთან შედარებით.

1.2.3.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სულ დონაციათა რაოდენობის ზრდა 16%-ით.
- უანგარო დონაციათა რაოდენობამ საერთო დონაციების რაოდენობის 29%-ს შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით მეტია.

1.2.3.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროფესიულ დაავადებათა პროგრამის მოცვის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში 5 დაწესებულებაში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევები

1.2.3.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ინფექციური საშუალებებით დაავადებული მოსახლეობისათვის ადექვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო ინფექციური და პარაზიტული დაავადებების სტაციონარული მკურნალობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2013 წელს ინფექციური დაავადებით ჰოსპიტალიზირებულ პირთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენდა 1.2%-ს. 2012 წელთან შედარებით გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

1.2.3.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენა და ადექვატური მკურნალობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით, გეოგრაფიულად ხელმისაწვდომად ფუნქციონირებს ტუბერკულოზის ამბულატორიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისები;
- საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია უფასო დიაგნოსტიკური და მკურნალობის მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2013 წელს ყოველ 100 000 მოსახლეზე ყველა ფორმის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევის გამოვლენის მაჩვენებელმა შეადგინა 74.8, რაც 11%-ით ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

1.2.3.8 აივ-ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგი:

- შემთხვევების ადრეული დიაგნოსტიკის გაუმჯობესება და მკურნალობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2013 წელს გამოვლენილი იყო აივ ინფექციის 490 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 10.9 – 10 000 მოსახლეზე), რაც თითქმის 7% ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

1.2.3.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგი:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

1.2.3.10 ნარკომანია (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- ნარკომანიით დაავადებულ პირთა ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჩამანაცვლებელი ნარკოტიკითა და სამედიცინო მეთვალყურეობით 3 ათასზე მეტი ბენეფიციარია უზრუნველყოფილი, რაც დაახლოებით 15% აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს.

1.2.3.11 ყველა ფორმის ტუბერკულოზის ხარისხიან დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 03 13)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“.

დასახული შუალედური შედეგები:

- მკურნალობისადმი პაციენტების 100%-იანი დამყოლობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ფულადი წახალისება გაიცემა ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფი რეზისტენტული პაციენტებისათვის

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მკურნალობისადმი პაციენტების დამყოლობა არის შემდეგი: სენსიტიური პაციენტების 70%, ხოლო რეზისტენტული პაციენტების 75%.

1.2.4. მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

დასახული შუალედური შედეგები:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებით;
- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- დიაბეტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებითა და ტრანსპორტირებით, ასევე ხელმისაწვდომია პირველადი/ამბულატორიული მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით;
- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- დიაბეტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოსახლეობა სრულად მოცულია ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული პაციენტები, რომლებიც ჩართულები არიან პროგრამაში უზრუნველყოფილნი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებითა და ტრანსპორტირებით, გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური შედეგების მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა. ასევე, ხელმისაწვდომია პირველადი/ამბულატორიული მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- ამბულატორიული პაციენტების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 8%-ით;

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებში უზრუნველყოფილია სტაციონარული მკურნალობა, საჭიროებისამებრ სრულად (მწვავე და ქრონიკული); საშუალო მწვავე საწოლდაყოვნების შემცირებულია 13-14 დღემდე;
- დიაბეტის პროგრამის მოცვა გაზრდილია 41%-ით;
- ჰემო-პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე ბენეფიციართა მოცვა გაზრდილია 15%-ით;
- იშვიათი დაავადებების ფარგლებში პროგრამული მომსახურებით მოცვა გაიზარდა დაახლოებით 5%-ით;
- მოსახლეობა სრულადაა მოცული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

1.2.4.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირები უზრუნველყოფილნი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ამბულატორიული პაციენტების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 8%-ით;
- უზრუნველყოფილია ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტებში სტაციონარული მკურნალობა, საჭიროებისამებრ სრულად (მწვავე და ქრონიკული);
- საშუალო მწვავე საწოლდაყოვნების შემცირებულია 13-14 დღემდე.

1.2.4.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 04 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- დიაბეტით გამოწვეული სპეციფიური გართულებების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს პროგრამაში ჩართული იყო 5.8 ათასზე მეტი ბენეფიციარი, რაც წინა წლის მაჩვენებელს თითქმის 41%-ით აღემატება.

1.2.4.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 04 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- ონკოპემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაუმჯობესდა ონკოპემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იყვნენ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

1.2.4.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოსახლეობა სრულად მოცულია ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჰემო-პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე ბენეფიციარების 100% უზრუნველყოფილია ჰემო და პერიტონეული დიალიზით. არ არსებობს მომლოდინეთა სია. ბენეფიციართა მოცვა გაზრდილია 15%-ით წინა წელთან შედარებით.

1.2.4.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 04 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი:

- ინკურაბელური პაციენტების უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და სპეციფიკური მედიკამენტებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

1.2.4.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 04 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული პაციენტები, რომლებიც ჩართულები არიან პროგრამაში უზრუნველყოფილნი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები სტაციონარული მომსახურების 2.0 ათასზე მეტი, იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურების 700-მდე და ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის - 6 ათასზე მეტი შემთხვევა. პროგრამული მომსახურებით მოცვა გაიზარდა დაახლოებით 5%-ით.

1.2.4.7 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 04 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“

დასახული შუალედური შედეგი

- გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური შედეგების მაჩვენებლების შემცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობა სრულადაა მოცული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

1.2.4.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 04 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში შეფასების მაჩვენებლების ზრდის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:*

- 2013 წელს ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობამ შეადგინა 0.7, მაშინ როცა 2012 წელს უდრიდა 0.6-ს.

1.2.4.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 04 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი

- სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი სამედიცინო დახმარებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 9.2 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.4.10 სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 04 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგი

- სამხედრო ძალების შევსება განხორციელდება ჯანმრთელი კონტინგენტით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სამხედრო ძალების შევსება განხორციელდა ჯანმრთელი კონტინგენტით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულ იქნა 23.6 ათასამდე წვევამდელი, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად დგინდება „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის დადგენილებებით.

1.3 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

- ✓ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახური;
- ✓ სსიპ - წარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი.
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვის სერვისები;
- შრომასთან დაკავშირებული ტრავმების, ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა აღრიცხვიანობის მოწესრიგება და პრევენცია;
- ქვეყნის მასშტაბით სამუშაოს მაძიებელთა ბაზის ფორმირება და ვაკანსიების პროფილის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიღება, შრომის ბაზარზე საშუაშვლო საქმიანობის ეფექტური განხორციელება;
- ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული ფარმაცევტული ბაზარი;
- უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევათა შემცირება.
- მოსახლეობისთვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- შემცირებულია ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობა ფარმაცევტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოფილია ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვების ცხოვრების ხარისხი;
- ტრეფიკინგის კუთხით გაზრდილი ცნობიერება ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგის) დანაშაულთან და პრობლემასთან დაკავშირებით;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, თავშესაფრებით და სხვა სერვისებით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით, სამკურნალო-სარეაბილიტაციო და დღის და სადღეღამისო მომსახურებებით;
- უზრუნველყოფილია დაზღვეულისათვის დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული სერვისების დროულად და ხარისხიანად მიწოდება;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენით, რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულია სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა საყოველთაო ჯანდაცვისა თუ კერძო სადაზღვევო პროგრამებით;
- უკანონო სამედიცინო საქმიანობაზე გამოვლინდა 19 შემთხვევა;
- დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები;
- გამოვლინდა ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტი;
- ოჯახურ გარემოში ინტეგრირებული იქნა 80 ბავშვი (მ.შ. შვილად აყვანა, რეინტეგრაცია ბიოლოგიურ ოჯახში, მინდობით აღზრდა, ტრანზიტულ ცენტრში ჩარიცხვა, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში განთავსება, შშმ პანსიონატში გადაყვანა.)
- კეთილმოეწყო სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ პირთა საცხოვრებელი პირობები, შშმ ადაპტირებული გარემოს შესაბამისად;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით.

1.4 სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები;
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოების თანადაფინანსება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.
- ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია/აღჭურვის ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია/აღჭურვა, ასევე, ახალი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

- 4 რეაბილიტირებული და 89 აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებება.

შენიშვნა: *ცალკეული დაავადებების მიხედვით ინციდენტობის ან/და პრევალენტობის მაჩვენებლის შესახებ მონაცემები საქართველოში ხელმისაწვდომია ერთი წლის დაგვიანებით. შესაბამისად, ამ ეტაპზე ხელმისაწვდომია მხოლოდ 2013 წლის მონაცემები.

1.5. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით (პროგრამული კოდი 27 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემცირდა ტუბერკულოზით ავადობის მაჩვენებელი
- წარმატებით დამთავრა მსჯავრდებულთა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ტუბერკულოზით ავადობის მაჩვენებელი ყოველ 1.0 ათას ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე 24 შემთხვევიდან 12 შემთხვევამდე შემცირდა;
- 180 მსჯავრდებულმა წარმატებით დაამთავრა C ჰეპატიტის მკურნალობის კურსი და განიკურნა.
- 2013 წელთან შედარებით 1.2-ჯერ გაზრდილი ავადობის მაჩვენებელი (შეადგინა 36 ათასი);
- სიკვდილობის სტანდარტული მაჩვენებელი (SMR) 1 000
- ბრალდებულზე/მსჯავრდებულზე გაზრდილი წინა წელთან შედარებით 0.2 ერთეულით (შეადგინა 2.7 ერთეული)

1.6. თავდაცვის სფეროში ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამხედრო-სამეცნიერო და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა. პროფილაქტიკური ღონისძიებებით ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობის მაჩვენებლებისა და შრომისუნარიობის ხანგრძლივობის შემცირება. ხარისხიანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალი და სამხედრო მოსამსახურეები, მათი ოჯახის წევრები, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები, აგრეთვე სხვა სამოქალაქო პირები უზრუნველყოფილი იყვნენ ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით. ჩატარდა სხვადასხვა განყოფილებების კაპიტალური რემონტი, რაც გააუმჯობესებს პაციენტთა მომსახურების ხარისხს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წლის განმავლობაში სამედიცინო მომსახურება გაეწია 51 434 პაციენტს;
- 294 480 ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება (კვლევა და კონსულტაცია) გაეწია 46 712 პაციენტს, კერძოდ: 28 569 სამხედრო მოსამსახურეს და სამხედრო პენსიონერს ჯამში 216 669 კონსულტაცია და კვლევა ჩატარდა, 1 673 სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრს ჯამში 12 380 კონსულტაცია და კვლევა ჩატარდა;
- 16 470 სამოქალაქო პირს ჯამში 65 431 კვლევა ჩატარდა და კონსულტაცია გაეწია;
- სტაციონარული სამედიცინო მომსახურება გაეწია 4 722 პაციენტს, კერძოდ: 2 266 სამხედრო მოსამსახურე და სამხედრო პენსიონერი, 85 სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრი, 2 371 სამოქალაქო პირი.

1.7. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მიმაგრებული კონტინგენტის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა;
- დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება;
- პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შენარჩუნდა და განმტკიცდა თანამშრომელთა ფიზიკური მდგომარეობა, შემცირდა შრომისუუნარობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბენეფიციართათვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფილი კონტინგენტი;

1.9. ვეტერანთა მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური.

დასახული საბოლოო შედეგები:

- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის პრიორიტეტია ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ვეტერანთა ინფორმირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შეიქმნა სამსახურის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
- შემუშავებულ იქნა ვეტერანებისათვის ჯანდაცვის გაუმჯობესებული პაკეტი;
- შეიქმნა სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდი;

2. პრიორიტეტი – თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
29 01	შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამალგება	598,095.5	598,095.5	599,085.2	599,085.2	
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	583,129.0	583,129.0	584,898.1	584,898.1	
27 02	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	136,406.2	134,906.2	135,264.8	134,383.2	881.6
29 04	თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	42,672.0	40,522.0	48,943.4	40,929.2	8,014.2
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	46,864.9	46,864.9	46,618.5	46,618.5	
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	34,320.1	34,320.1	34,254.2	34,254.2	
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	17,963.8	17,963.8	17,510.6	17,510.6	
30 02	ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამალგება	114,629.6	11,629.6	118,521.8	11,556.9	106,964.9
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	9,277.6	9,277.6	9,277.6	9,277.6	
27 01	პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4,650.1	4,650.1	4,492.5	4,492.5	
24 06	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)	4,976.5	4,976.5	4,976.4	4,976.4	
03 01	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	2,000.0	2,000.0	1,385.3	1,385.3	
26 07	დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები	1,245.5	1,245.5	1,443.4	1,105.0	338.4
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	302.0	302.0	297.5	297.5	
29 05	კიბერუსაფრთხოების	800.0	800.0	758.7	758.7	

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
	უზრუნველყოფა					
	სულ პრიორიტეტის დაფინანსება	1,597,332.9	1,490,682.9	1,607,728.1	1,491,529.0	116,199.1

2.1. შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამღლება (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი;

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესება;
- ნატოსთან თავსებადი თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაუმჯობესება;
- ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ამღლება;
- სოციალური უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

მიღწეულული საბოლოო შედეგები:

- ამღლდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა;
- თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემის გაუმჯობესება;
- გაუმჯობესდა სოციალური უზრუნველყოფა;
- გაუმჯობესდა გამჭვირვალობის ხარისხი;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს შეიარაღებული ძალების გაზრდილი თავდაცვითი შესაძლებლობები;
- სოციალური და სამედიცინო უზრუნველსაყოფად შექმნილი სარეაბილიტაციო ცენტრები, განახლებული სადაზღვევო პაკეტი;
- ამღლებული ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა;
- შემუშავებული ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი;

2.2. საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაერთიანება/გაღრმავება (30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების დაცვა;
- სამინისტროს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და დაცვითი სისტემებით უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- კონტრაბანდული საქონლის ექსპორტისა და იმპორტის მინიმუმამდე შემცირება;
- ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა;
- საზღვაო სივრცეში სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობის გაუმჯობესება, სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საზღვაო სივრცეში კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემცირება;
- დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და დაკავებულ პირთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ;
- დაბრუნების, არალეგალური მიგრაციისა და რეადმისიის სფეროში შსს შესაძლებლობების გაზრდა;

- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებების ინციერება და გაფორმება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ამაღლდა გამოძიების ოპერატიულობა;
- განხორციელდა ადმინისტრაციული შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია და გაუმჯობესდა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- შსს-ს გაზრდილი შესაძლებლობები დაბრუნების, არალეგალური მიგრაციისა და რეადმისიის სფეროში (კონკრეტული ღონისძიებების, გაფორმებული შეთანხმებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების რაოდენობა);
- ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ინიცირებული და გაფორმებული შეთანხმებები, პროგრამები;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შემცირებული სისხლის სამართლებრივი დანაშაულთა რაოდენობა;
- შემცირებული გაუხსნელ დანაშაულთა რაოდენობა;
- სამინისტროს თანამშრომელთა გაუმჯობესებული სოციალური პირობები;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განახლებული სამინისტროს ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონასა და საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონდარღვევები;
- რეაბილიტირებული დროებითი მოთავსების იზოლატორების რაოდენობა.
- დაბრუნებული და რეადმისირებული პირების გაზრდილი რაოდენობა (სტატისტიკური მაჩვენებელი);
- სხვადასხვა ქვეყნებთან ერთობლივად განხორციელებული/გამოძიებული საქმეების, განხორციელებული პროგრამების გაზრდილი მაჩვენებელი;
- ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების გაზრდილი რაოდენობა;
- შსს თანამშრომლების მიერ დისციპლინარული გადაცდომების შემცირებული მაჩვენებელი.

2.3. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი
- ✓ სსიპ – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბებით თავისუფლება აღკვეთილ პირთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება;
- რესოციალიზაციის მიზნით ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების შემუშავება და პატიმართა მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, საწარმოო ზონების შექმნა და პატიმართა დასაქმება;
- სარეაბილიტაციო პროგრამებით პრობაციონერთა უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებელი ღონისძიებების გატარების შედეგად გააუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები, მათ მიერ სახელობო/პროფესიული სწავლებისა და განათლების მიღება, მოქალაქეთა მომსახურეობა საჭირო ინფორმაციით;

- პრობაციონერები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გაუმჯობესებული საცხოვრებელი და ყოფითი პირობები 717 ბრალდებულ/მსჯავრდებულისთვის;
- სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამები გაიარა 2 472 პირობით მსჯავრდებულმა (აღნიშნულ სტატისტიკაში შედის გადამზადებისა და სახელობო კურსების, ასევე ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების ჯამური მაჩვენებელი), მონაცემები 1 386-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით.

2.3.1 საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგები:

- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავება და პატიმართა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობა;
- საწარმოო ზონების ამოქმედებით რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების მიზნით პატიმართა ინფორმატულობის ზრდა და მათი ცნობიერების ამაღლება უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ;
- ინფრასტრუქტურის სრულყოფა პატიმართა და თავისუფლებადაღკვეთილთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ჩამოყალიბებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების შედეგად;
- ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესების მიზნით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 14 დაწესებულების ცალკეული შენობას ჩაუტარდა კაპიტალური სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მიმდინარე რემონტი, აღიჭურვა რიგი მანქანა-დანადგარებითა და ინვენტარით; ორი დაწესებულების ტერიტორიაზე შეიქმნა საზოგადოებრივი მისაღები; ერთ დაწესებულებაში შეიქმნა გრძელვადიანი პაემნისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა; სამ დაწესებულებაში მოეწყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსჯავრდებულთა გადაადგილებისათვის აუცილებელი პანდუსები;
- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებისა და პატიმართა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობისათვის 2014 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მოახდინა ორგანიზება და დააფინანსა მსჯავრდებულთა გადამზადება მათთვის განსაზღვრული სახელობო/პროფესიული სასწავლო პროგრამებით;
- საწარმოო ზონების ამოქმედებისა და რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობისათვის დასრულდა N16 დაწესებულების სრული სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და დასკვნით ეტაპზე გადავიდა საწარმოო ზონის ინფრასტრუქტურის შექმნა;

- სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების მიზნით ბრალდებულ/მსჯავრდებულებს მიეწოდა 912 საინფორმაციო სახის ბროშურა, მოთხოვნის შესაბამისად და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მოთხოვნის შესაბამისად ადრესატს გაეგზავნა 8 329 კონფიდენციალური საჩივრის კონვერტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აუცილებელი რბილი ინვენტარით 100%-ით უზრუნველყოფილი თავისუფლებააღკვეთილი პირები;
- პროფესიული და სახელობო სასწავლო პროგრამებში ჩართულ პატიმართა რაოდენობა - 1 303 მსჯავრდებული, 55%-ით მეტი გასული წლის მაჩვენებელზე;
- დასაქმებული პატიმართა რაოდენობა - 840 მსჯავრდებული, 86%-ით მეტი გასული წლის მაჩვენებელზე;
- თავისუფლებააღკვეთილთა სამართლებრივი გარანტიების გასაძლიერებლად შესაბამისი საინფორმაციო ბროშურებითა და საჩივრის კონვერტებით 100%-ით უზრუნველყოფილი პატიმრები;
- აუცილებელი რბილი ინვენტარითა და შესაბამისი უნიფორმით 100%-ით უზრუნველყოფილი პენიტენციური სისტემის თანამშრომელი და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურე;
- ახალი მანქანა-დანადგარებით აღჭურვილი დაწესებულებები;
- 33%-ით შესრულებული ოზურგეთის რაიონის სოფელ ლაითურში ახალი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სამშენებლო სამუშაოები.

2.3.2 სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ამუშავება;
- სარეაბილიტაციო პროგრამებ გავლილი პრობაციონერების რაოდენობა;
- თავისუფლება შეზღუდული მსჯავრდებულების ჩართვა სხვადასხვა სარეაბილიტაციო და პროფესიული გადამზადების კურსებში.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- გაიხსნა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის ეფექტური განხორციელებისათვის არსებობს სხვადასხვა სახელობო კურსების შემსწავლელი პროგრამები, სპორტული მოედნები და სატრენაჟორო დარბაზი, ასევე მცირე ზომის ქარხნები;
- სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩართული პირობით მსჯავრდებულების რაოდენობამ შეადგინა 2 472 ადამიანი (აღნიშნულ სტატისტიკაში შედის გადამზადებისა და სახელობო კურსების, ასევე ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამების მომსახურების ჯამი);
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში მყოფმა პირებმა გაიარეს შემდეგი სახის საგანმანათლებლო და ფსიქო-სარეაბილიტაციო კურსები: „სტრესთან გამკლავება“, „კომუნიკაცია და დასაქმების ხელშეწყობა“, „ფასეულობები და ღირებულებები“, ინგლისური ენის პროგრამა, „მეფილე მომპირკეთებლის პროგრამა“, „ელექტრიკოსის პროგრამა“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული პრობაციონერების პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა - 13%;
- თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება ფუნქციონირებს და მზადაა თავისუფლება შეზღუდული 100 პიროვნების სრულფასოვანი მომსახურებისათვის.

2.3.3. უფასო იურიდიული დახმარება (პროგრამული კოდი 27 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

დასახული შუალედური შედეგები

- უფასო იურიდიული დახმარების უფრო მეტად ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.
- საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების გამოყენებაზე.

მიღწეული შუალედური შედეგები

- იურიდიული დახმარების ბიუროებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩაატარეს გასვლითი კონსულტაციები. სულ ჩატარდა 200-ზე მეტი გასვლითი კონსულტაცია. სულ გაწეულ იქნა 20 732 კონსულტაცია, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელს 15%-ით აღემატება.
- სამსახურის მიერ წარმოებაში მიღებული საქმეების რაოდენობამ შეადგინა 10 993, რაც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე 7%-ით ნაკლებია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა 6%-ით.

2.4. თავდაცვის სფეროში სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ და მასში შემავალი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სტრატეგიული მნიშვნელობის ცოდნის შენარჩუნება და გაღრმავება;
- სამხედრო-სამეცნიერო შესაძლებლობების გაუმჯობესება სხვადასხვა ტექნოლოგიების დამუშავების გზით;
- სამხედრო სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ტრანზისტორების და ინფრაწითელ არეში დეტექტორების დასამზადებლად შეიქმნა სილიციუმ (Si) ნახევარგამტარზე ბორით (B) და გერმანიუმით (Ge) იონური ლეგირები ბაზური ტექნოლოგია;
- შემუშავდა დაბალტემპერატურული, სტიმულირებული ტექნოლოგია ნ/გ-ის და მეტალების (მათ შორის გარდამავალ) ზედაპირზე თხელი ოქსიდური ფირების ფორმირებისთვის, სხვადასხვა ელექტრო-ფიზიკური და დიელექტრიკული პარამეტრებით;

- დამუშავდა აფეთქებით შედუღების მეთოდით ჯავშანკასეტების და ფენოვანი ჯავშანფილების მიღების ტექნოლოგია;
- დამუშავდა სპეციალური დანიშნულების მობილური ტექნიკის გამავლობაზე გამოცდის პროგრამა;
- განადგურებული ტერიტორიების ფართობი - მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“-სა და ნატოს უზრუნველყოფის სააგენტოს (NSPA) შორის პროექტზე „2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს აფეთქებული საბრძოლო მასალების სკრის საცავისა და მიმდებარე ტერიტორიის გაუვნებელოება“.
- იონური ლეგირების ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით დამზადდა ინფრაწითელ არეში მომუშავე დეტექტორები მაღალხარისხოვანი p-n გადასასვლელების საფუძველზე;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა დაწესებულებებისათვის შესრულდა საექსპერტო სამუშაოები, ხოლო კერძო სექტორის დაკვეთით განხორციელებული 61 სამეცნიერო-კვლევითი და საექსპერტო სამუშაო;

2.5. გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პროკურატურა

დასახული საბოლოო შედეგი:

- დანაშაულის შესახებ სტატისტიკური კვლევის დოკუმენტი;
- დანაშაულის დონის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევები;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით პროკურორებისათვის მომზადებული რეკომენდაციები;
- დანაშაულის პრევენციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტი;
- პროკურორთა საქმიანობის ეფექტიანობის ზრდა;
- განახლებული ინფრასტრუქტურა, პერსონალისათვის თანამედროვე და გაუმჯობესებული სამუშაო სივრცისა და პირობების შექმნა, სამუშაო ფართის რაციონალურად და მიზნობრივად გადანაწილება-გამოყენება;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- ძალადობრივი დანაშაულის შესწავლის და პრევენციული ღონისძიებების შესამუშავებლად შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა საფუძველზეც დაიწერა ანალიზი და განხორციელდა რიგი პრევენციული ღონისძიებებისა;
- სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრისას კვლევების შედეგების სრულად გასათვალისწინებლად და დანაშაულის დონის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავდა სტატისტიკურ-ანალიტიკური შინაარსის ანგარიშები და რეკომენდაციები;
- სასამართლოში პროკურორების მონიტორინგის, ასევე, შესწავლილი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის საფუძველზე პროკურატურის თანამშრომლებისათვის განისაზღვრა ტრენინგსაჭიროებები, წლის განმავლობაში გადამზადებულ იქნა შესაბამისი კადრები, გაიზარდა მათი კვალიფიკაციის დონე, რამაც, შესაბამისად, გაზარდა პროკურატურის მუშაობის ეფექტიანობა;
- განხორციელდა საქართველოს მთავარი პროკურატურის ეზოს სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები, მოეწყო ახალი ინფრასტრუქტურა და აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით, ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების ეფექტურად წარმართვის

ხელშეწყობისათვის განახლდა ავტოპარკი, შეძენილ იქნა ახალი კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ძალადობრივი დანაშაულის შესწავლისა და პრევენციული ღონისძიებების შესამუშავებლად შესწავლილ იქნა 3000-მდე სისხლის სამართლის საქმე;
- მომზადდა 20 სტატისტიკურ-ანალიტიკური შინაარსის ანგარიში. აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე შემუშავდა რელევანტური რეკომენდაციები (შემუშავდა 3 რეკომენდაცია);
- დანაშაულის დონის განსაზღვრის მიზნით გამოყენებულ იქნა როგორც კვლევის პირველადი (სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი), ისე მეორადი (პროკურორების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ხასიათის სპეცშეტყობინებები, სტატისტიკურ-ანალიტიკური მოდულიდან მიღებული ინფორმაცია) წყაროები;
- ჩატარდა 68 ტრენინგი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 700-მა თანამშრომელმა;

2.6. ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური

დასახული საბოლოო შედეგი:

- საგამომიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა;
- საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის მინიმუმამდე შემცირება;
- ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- საგამომიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე;
- შემცირდა საგამომიებო მოქმედების ვადები და დაზოგილ იქნა გამოძიების პროცესში ადამიანური და ფინანსური რესურსები;
- ქვეყანაში ამაღლდა გამოძიების ხარისხი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- გამოვლენილ იქნა 1012 სამართალდარღვევა და ყველა საქმეზე დაიწყო წინასწარი გამოძიება.
- იმ პირთა რაოდენობამ, რომელთა მიმართაც დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა შეადგინა 844 ერთეული, აღკვეთი ღონისძიება გამოყენებულ იქნა 604-ის მიმართ, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდა 5 ერთეულის მიმართ, ხოლო 54 პირის მიმართ შეწყდა წინასწარ დაწყებული გამოძიება.

2.7. ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგები:

- დაცვის პოლიციის აღჭურვა დაცვითი ტექნოლოგიების სისტემების თანამედროვე აპარატურითა და რადიოგადამცემებით; შენობა-ნაგებობების მშენებლობა და რემონტი;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების უსაფრთხოების დაცვის მაღალი დონე.

2.9 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების აფრენა-დაფრენისათვის საჭირო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება

2.11. დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიანი სისტემის შექმნა;
- რეფერალის სისტემის შემდგომი განვითარება.
- რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მექანიზმების შექმნა და განვითარება, მათ შორის, ყოფილი მსჯავრდებულების რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის კუთხით;
- მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით „სერვისების უწყვეტობის ჯაჭვის“ დანერგვა და განვითარება;
- განრიდებისა და მედიაციის პროგრამის საქართველოს მასშტაბით დანერგვა და ამავე პროგრამის ფარგლებში რეციდივის მაჩვენებლის არაუმეტეს 15%-ის შენარჩუნება;
- მედიაციის განვითარების ხელშეწყობა;
- საზოგადოების ჩართულობის ზრდა დანაშაულის პრევენციის კუთხით;
- რეფერალის სისტემის შემდგომი განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დანაშაულის პირველი დონის პრევენციის პროექტ „ლიდერთა სახლის“ ფარგლებში 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ, განევიტარებინათ ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები, აემაღლებინათ ცოდნა, აქტიურად ჩართულიყვნენ მოხალისეობრივ საქმიანობებში;
- საგრანტო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა სოციალური დანიშნულების საგრანტო პროექტები, რომელთა შედეგადაც მიღწეულ იქნა ყოფილ პატიმართა დასაქმება და მცირე ბიზნესის დაფინანსება;
- მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით „სერვისების უწყვეტობის ჯაჭვის“ დანერგვის მიზნით შეიქმნა სამი უწყების ერთობლივი სტრატეგია, რათა არ მოხდეს სერვისების გადაფარვა და რეაბილიტაციის გეგმა იყოს მაქსიმალურად ეფექტური;
- შენარჩუნებულ იქნა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ჯამური რეციდივის დაბალი მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ლიდერთა სახლსა და დანაშაულის პრევენციის პირველი დონის პროგრამებში ჯამში მონაწილეობა მიიღო 6.0 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ და არასრულწლოვანმა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო პროგრამების ფარგლებში ფსიქოლოგიური დახმარება მიიღო 22 ყოფილმა პატიმარმა, სოციალური უნარების ტრენინგი გაიარა 40-ზე მეტმა ბენეფიციარმა, სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 15 ყოფილი პატიმარი, დასაქმებულ იქნა 138 ყოფილი პატიმარი, ხოლო ბიზნეს-იდეა დაუფინანსდა პროგრამაში ჩართულ 5 ბენეფიციარს;
- მსჯავრდებულების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიმართულებით „სერვისების უწყვეტობის ჯაჭვის“ დანერგვის მიზნით შეიქმნა სამი უწყების ერთობლივი სტრატეგია (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, სსიპ „პრობაციის ეროვნული სააგენტო“ და სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“), რომელიც ითვალისწინებს უწყებებს შორის ინფორმაციისა და გეგმების გაცვლას;
- წლის განმავლობაში განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნების მხრიდან შენარჩუნებულ იქნა რეციდივის 10%-იანი მაჩვენებელი.

2.12. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საქართველოს შსს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების სრულყოფილად წარმოება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო რეზერვების, მატერიალურ ფასეულობათა უიმედო დებიტორული დავალიანების ბალანსიდან მოხსნა და ჩამოწერა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბალანსიდან მოხსნილი და ჩამოწერილი სახელმწიფო რეზერვების, მატერიალური ფასეულობების უიმედო დებიტორული დავალიანებების რაოდენობა;

2.13 კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;

დასახული საბოლოო შედეგები:

- კომპიუტერულ ინცინდენტებზე რეაგირების უზრუნველყოფა;
- ბიუროს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და ელექტრონული სერვისების გამართვა;
- CSIRT-ების თანამშრომლებისთვის, SANS-ის, ISACA-ს, Carnegie-ისა და სხვა სერთიფიცირებული ტექნიკური პროგრამების შესწავლა და დამუშავება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული ინცინდენტის მართვის პროცესი;

- გამართული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ელექტრონული სერვისები;
- მოწესრიგდა ბიუროს ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და ელექტრონული სერვისები;
- გაუმჯობესდა ბიუროს ინფრასტრუქტურა.

3. პრიორიტეტი – რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	542,708.0	542,708.0	526,434.1	526,434.1	
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	227,115.0	215,915.0	168,768.5	168,257.5	511.0
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	127,604.5	127,604.5	106,945.4	106,945.4	
36 03	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	48,400.0	48,400.0	95,558.2	95,558.2	
36 04	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	45,700.0	45,700.0	37,887.8	37,887.8	
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	12,753.0	12,753.0	12,429.8	12,429.8	
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	33,676.6	33,476.6	32,327.4	31,945.8	381.6
36 02	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	6,000.0	6,000.0	3,268.3	3,268.3	
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	5,482.0	5,482.0	5,302.3	5,302.3	
24 02	ტექნიკური და საშენებლო სფეროს რეგულირება	1,391.0	1,291.0	1,281.6	1,253.2	28.4
24 07	ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	280.0	280.0	230.7	230.7	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,051,110.0	1,039,610.0	990,434.2	989,513.2	921.0

3.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 25 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული საბოლოო შედეგი:

- ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა და საქართველოს საგზაო ქსელის ჩართვა საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში;
- საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა;
- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან გამარტივებული დაკავშირება;
- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი და მომხმარებლისთვის კომფორტული საავტომობილო გზები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგები შეესაბამება დასახულ მიზნებს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საავტომობილო გზების მახასიათებლებთან მიახლოება;
- სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების ეტაპობრივი შემცირება;
- ავტომაგისტრალზე საგზაო შემთხვევების შემცირება.

3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგი:

- საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები;
- შეკეთებული და აღდგენილი ხიდები;
- რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მნიშვნელოვლად მოწესრიგებული მისასვლელი გზები.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ჩატარებული სამუშაოების შედეგად განხორციელდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია;
- რაიონულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;

- ჩატარდა სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით განსახორციელებელი, ასევე მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია ჩატარდა 265 კმ-დე საავტომობილო გზას;
- 6 100 კმ-მდე საავტომობილო გზას ჩატარდა მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში;
- სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებით უზრუნველყოფილი იქნა გზებისა და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების დროული აღდგენა, რითაც შეჩერებული იქნა მათი სრული დაზიანება და გზებზე მოძრაობის მოსალოდნელი შეფერხება;
- მდინარეთა კალაპოტებში ნაპირსამაგრი ღონისძიებების გატარების შედეგად შემცირებული იქნა სანაპირო ზონებში არსებული ავარიული სიტუაცია, რითაც უზრუნველყოფილი იქნა: სანაპირო ზონების მდგრადობა, მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო;
- გადაადგილების დროისა და სატრანსპორტო ხარჯების ეტაპობრივი შემცირება.

3.1.3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგი:

- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება;
- საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადის გამტარუნარიანობის და საერთაშორისო გადამზიდვის კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით საავტომობილო გზების მახასიათებლების საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- გაიზრდება სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობა;
- უზრუნველყოფილი იქნება ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხო მოძრაობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენელი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) რეკონსტრუქცია-მშენებლობა ზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კორიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას, უზრუნველყოფს ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობას და უსაფრთხო მოძრაობას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საანგარიშო პერიოდში დასრულდა სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზის ქობულეთის შემოვლითი გზის 12.4 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა და მასზე გადაერთო მოძრაობა.

3.2. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“;
- ✓ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“;
- ✓ შპს „თეთნულდი დეველოპმენტი“;
- ✓ შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- რეგიონული და მუნიციპალური მნიშვნელობის გზების, ტურისტული ინფრასტრუქტურის, მუნიციპალიტეტების კომუნალური მეურნეობის, ტურისტულ ზონებში ქუჩების და საფეხმავლო გზების კეთილმოწყობის, განათების, სხვა ტურისტული და ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოწესრიგდა და მოეწყო პროექტით გათვალისწინებულ ობიექტებში ინფრასტრუქტურა, გზები, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები, მოწესრიგდა პროექტით გათვალისწინებულ ტურისტულ რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ასევე დაიწყო რამოდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა დასრულება დაგეგმილია 2015-2016 წლებში.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა, მოწესრიგებული შიდა გზები, ნაპირგამაგრებითი სამუშაოების შედეგად გამაგრებულია რისკების შემცველი ადგილები;
- გაზრდილი ტურისტული პოტენციალი;
- ტურისტულ ზონებში მოწესრიგებული შიდა ინფრასტრუქტურა, გზები, გამწვანება, განათება, ქუჩები, ტურისტული დანიშნულების ნაგებობები;
- ურბანული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

3.3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა - რეაბილიტაცია (25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს რეგიონებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წყალარინებისა და წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გამოიცვალა მილები;
- აშენდა ახალი სატუმბო სადგურები;
- დამონტაჟდა მრიცხველები;
- გარემონტდა საქლორატორო შენობები და სხვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაუმჯობესებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები;
- მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება;
- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში წყალმომარაგების პროექტების დასრულება.

3.4. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი
- ✓ შპს ნავთობისა და გაზის კორპორაცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრეზე გასვლა. ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლება, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და მოწყობილობათა უსაფრთხოების ამაღლება და საიმედოობა, ელექტროენერგიის მოწოდების საიმედოობის ამაღლება, კაშხლისა და სხვა ნაგებობების უსაფრთხოების ამაღლება.
- ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის ამაღლება, ჰიდროტექნიკური ნაგებობებისა და მოწყობილობათა უსაფრთხოებისა და საიმედოობის ამაღლება, ელექტროენერგიის მოწოდების საიმედოობის ამაღლება, კაშხლისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების გაზრდა.
- გაზსადენის საპროექტო გამტარუნარიანობის აღდგენა. მოსახლეობისა და სამრეწველო ობიექტების გაზმომარაგების საიმედოობის და ხარისხის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ენგურჰესის №5 ჰიდროაგრეგატზე საპროექტო სიმძლავრეზე გასვლა.
- ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრესა და ელექტროენერგიის გამომუშავების მიღწევა. ვარდნიშესის კასკადის №1 ჰესის ნორმალური ფუნქციონირების მიღწევა.
- სამუშაოები დასრულებულია, ჩატარებულია ტესტირება

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის 1300 მგვტ-ის და ელექტროენერგიის საპროექტო გამომუშავების 4,2 მლრდ კვტ.სთ მიღწევა.
- ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრესა 1300 მგვტ და ელექტროენერგიის 4,2 მლრდ. კვტ.სთ მიღწევა. ვარდნილიშესის კასკადის №1 ჰესის უსაფრთხო და უავარიო ფუნქციონირება.
- მოსახლეობისა და სამრეწველო ობიექტების გაზმომარაგების ხარისხის ამაღლება და გაზმომარაგების ავარიული შეწყვეტების შემცირება მინიმუმამდე.

3.5. სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება და გაუმჯობესება, ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის განხორციელების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობის შექმნა. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.
- პროექტის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სისტემის მდგრადობა/იმედიანობა და სსე-ის ქვესადგურებში არსებული მდგომარეობა. შემცირდება ტექ-მომსახურებისა და გამორთვების ხანგრძლივობა, გაუმჯობესდება ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხი. აგრეთვე, პროექტი ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და ელ.ენერგიის ექსპორტის/ტრანზიტისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

- ქალაქ ბათუმისა და რეგიონის ელექტრომომარაგების გაუმჯობესება, საქართველოს ენერგოსისტემის საიმედოობის ამაღლება და ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანის შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება და გაუმჯობესება, ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის განხორციელების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინაპირობის შექმნა.
- საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება და გაუმჯობესება, ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სამხრეთ საქართველოს რეგიონის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესება, ქვეყნის ენერგობალანსში ნამეტი ელექტროენერგიის ექსპორტი, ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტისა და ტრანზიტის შეუფერხებელი განხორციელება.
- აჭარისწყალზე ასაშენებელი შუახევიჰესის და კორომჰეთიჰესის საშუალებით გამომუშავებული ელექტროენერგიის სისტემაში შეყვანა (360მგვტ). ქალაქ ბათუმის ელექტრომომარაგების გაუმჯობესება, საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება და ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთსა და სხვა პოტენციურ ბაზრებზე.
- ერთი ახალი 220 კვ ელექტროგადამცემი ორჯაჭვა ხაზის მშენებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 1 ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა, ორი 8 კმ-იანი და ერთი 60 კმ სიგრძის 500 და 220 სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა.

3.6. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარება და ტურისტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება, ცნობადობის ამაღლება და შესაბამისად, ტურისტების რაოდენობის მატება;
- ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რიცხვის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო ბაზარზე გაიზარდა საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება, ამაღლდა ცნობადობა, გაიზარდა ტურისტების რაოდენობა;
- შეიქმნა ახალი ტურისტული პროდუქტები და მიმდინარეობდა მათ შესახებ დაინტერესებულ პირთა ინფორმირება;
- სხვადასხვა ტიპის სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებითა და პროექტების განხორციელებით მიმდინარეობდა სათავგადასავლო, აგრო, ინკლუზიური და ღვინის ტურიზმის განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქართველი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა - 2014 წელს საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2%-ით;
- საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს და მისი ტურისტული პოტენციალის ცნობადობა - საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ცნობადობის ამაღლების მიზნით საქართველო წარმოდგენილი იყო 21 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე, მოეწყო 48 პრეს და გაცნობითი ტური და გაიმართა საქართველოს, როგორც ტურისტული მიმართულების, 5 პრეზენტაცია.

3.7. ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით, ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
- ნავთობისა და გაზის დარგში დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა, ოპერაციების წარმოების მაქსიმალური გამჭვირვალობა და მათ ჩასატარებლად საჭირო პროცედურების გამარტივება, ინვესტორების საქმიანობისათვის ხელშეწყობა, ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფაში დარგის მონაწილეობის გაზრდა
- ქვეყანაში ყველა სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა 25 მემორანდუმს 32 პროექტის განვითარების თაობაზე.
- ინვესტიციების მოცულობის გაზრდა, საქართველოში ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოებით დაინტერესებული უცხოური კომპანიების რაოდენობის გაზრდა.
- 11 სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით.

3.8. ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ზამთრის პერიოდში ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ზამთრის პერიოდში ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ზამთრის პერიოდში ბუნებრივი აირით მომარგებული იქნა 3 600 აბონენტი.

3.10. ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ევროდირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება (სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალები (93/15/EEC) და ფეთქებად ატმოსფეროში გამოსაყენებელი მოწყობილობები (ATEX 94/9/EC));
- სანებართვო დოკუმენტაციის ანალიზისა და ნებართვების გაცემის დროს შემცირება;
- ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ონლაინ რეგისტრაციის დანერგვა;
- სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;
- მშენებლობის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლება;
- მეწარმეებსათვის ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაბამისი სტანდარტების არჩევის შესაძლებლობა;
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ელექტრონული ნებართვების გაცემისა და გაცემული სანებართვო პირობების შესრულების ზედამხედველობისათვის გეონფორმაციული სისტემის (GIS) და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე უსაფრთხოების ხარისხის ამაღლების მიზნით მიღებულ იქნა 10 ტექნიკური რეგლამენტი და განხორციელდა ობიექტების ინსპექტირება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ავარიული/უბედური შემთხვევების სტატისტიკური მაჩვენებელი - განხორციელდა 210 ობიექტის ინსპექტირება, რის შედეგადაც გამოვლინდა 760 შეუსაბამობა (არაარსებითი, არსებითი, კრიტიკული). 1 ობიექტზე დაფიქსირდა საშუალოდ 3.6 დარღვევა. 2014 წელს 2013 წელთან შედარებით შემოწმებული ობიექტების რაოდენობა გაიზარდა 272%-ით, ხოლო 1 ობიექტზე გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა შემცირდა 15% - ით.
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების თაობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა - სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების თაობაზე გაიცა 26 ნებართვა, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის 64 ნებართვა და 10 მშენებლობის თაობაზე შეთანხმება;

4. პრიორიტეტი – განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
32 02	ზოგადი განათლება	446,823.4	436,623.4	446,771.0	436,040.1	10,730.9
32 04	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	318,910.1	127,210.1	316,156.0	134,674.7	181,481.3
32 05	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	118,415.2	118,415.2	115,209.1	115,200.7	8.4
32 03	პროფესიული განათლება	29,408.4	24,708.4	28,563.6	24,582.5	3,981.1
32 06	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	31,455.0	31,455.0	14,881.2	14,881.2	
29 02	სამხედრო განათლების განვითარება	19,373.1	19,223.1	19,263.2	19,005.6	257.6
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	21,326.2	14,426.2	21,841.7	14,397.7	7,444.0
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	18,210.7	15,710.7	18,008.9	15,733.5	2,275.4
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	6,990.7	6,990.7	6,984.1	6,984.1	
30 03	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	6,015.0	5,515.0	6,090.3	5,935.3	155.0
26 04	იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	3,826.0	3,426.0	5,046.3	3,185.3	1,861.0
35 06	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამა	0.0	0.0	0.0	0.0	
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,642.2	1,642.2	1,622.2	1,616.3	5.9
27 03	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	997.3	997.3	989.4	989.4	
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,525.1	1,225.1	1,587.5	1,114.8	472.7
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	450.0	428.3	428.3	
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	353.0	353.0	274.7	274.7	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,025,721.4	808,371.4	1,003,717.6	795,044.3	208,673.3

4.1. ზოგადი განათლება (32 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები.

დასახული საბოლოო შედეგები

- ყველა მოქალაქისათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგად გაიზარდა სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა;
- მოხალისე პედაგოგების დახმარებით გაუმჯობესდა არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა/სწავლების ხარისხი;
- ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებისა და ჩინური ენის სწავლების მიზნით ინგლისურენოვანი და ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანის შედეგად ამაღლებულ იქნა ქართველი მოსწავლეების ცოდნის დონე;
- უზრუნველყოფილ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო, ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის შესაბამისი მომსახურება, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კუთხით საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის გაკვეთილების ჩატარება;
- ჩატარდა ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები, უზრუნველყოფილ იქნა ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულების მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიადებში;
- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ თბილისსა და რეგიონებში განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების იდენტიფიკაცია და შეფასება, განისაზღვრა მათი ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობი, მოხდა სასწავლო პროცესში ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების აკადემიური და სოციალური მიღწევების შეფასება;
- მოსწავლე ახალგაზრდობაში სამოქალაქო აქტიურობის განვითარების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სათემო ღონისძიებები და რეგულარული კლუბური სამუშაოები;
- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლე, ასევე კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები.
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულებისათვის ხელმისაწვდომი იქნა ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება, ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა;
- უზრუნველყოფილ იქნა იმ მოსწავლეების ტრანსპორტირება (ავტობუსით, მიკროავტობუსით) სკოლაში, რომლებიც ისეთ დასახლებულ პუნქტში (სოფელი, დაბა) ცხოვრობენ, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სოფლებს შორის დიდი მანძილია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართული შესაბამისი ასაკის ბავშვების მთლიანი რაოდენობის 98%;
- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულია 38 000-მდე მოსწავლე;
- თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში მოსწავლეთა არანაკლებ 85% შეესაბამება ზოგადი განათლების დონის საგანმანათლებლო სტანდარტს;
- ყველა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი დაფინანსებითა და მოსწავლეთა ხარისხიანი ზოგადი განათლებით;

4.1.1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დაფინანსებით და მოსწავლეები შეძლებენ მიიღონ ხარისხიანი ზოგადი განათლება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ყველა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი დაფინანსებით და მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ ხარისხიანი განათლება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსწავლეთათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მისაწოდებლად საჭირო ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლების 100%.

4.1.2 . მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

დასახული შუალედური შედეგები:

- გაიზრდება სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა;
- გაუმჯობესდება ეთნიკური უმცირესობების ქართული ენის ცოდნის დონე, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას, ჩაერთონ როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ისე სამუშაო სექტორში;
- ქართულის, როგორც უცხო ენის სტანდარტული აღწერილობის საფუძველზე შექმნილ სახელმძღვანელოებში ჩამოყალიბებული სწავლების მეთოდები ხელს შეუწყობს სახელმძღვანელოების შემდგენლებს, ასევე ქართულის, როგორც უცხო ენის მასწავლებლების მომზადებას;
- გაუმჯობესდება ქართველი მოსწავლეების უცხო ენის ცოდნის დონე;
- ზოგადევროპული მოდელის საფუძველზე შემუშავდება „ქართულის, როგორც უცხო ენის“ სტანდარტი, რომელიც გულისხმობს ქართული ენის ფლობის დონეებად (A1-A2; B1-B2) დაყოფას, ქართული ენის სწავლება განხორციელდება როგორც უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის;

- შეიქმნება სპეციალურ პროგრამაში მოთავსებული „ტექნიკური ტერმინოლოგიის ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, რომელიც იმუშავებს „ონ-ლაინ“ რეჟიმით და რომელსაც მისი თანდათან შევსების საშუალება იქნება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში მივლენილი მოხალისე პედაგოგების დახმარებით გაუმჯობესდა ქართული ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა/სწავლების ხარისხი;
- ინგლისურენოვანი და ჩინური ენის მოხალისე მასწავლებლების ჩამოყვანით ხელი შეეწყო ქართველი მოსწავლეების ინგლისური და ჩინური ენის სწავლების გაძლიერებას;
- განხორციელდა პროფესიული სტანდარტების დამკვიდრება განათლებაში;
- გაიზარდა სერტიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა;
- გაიზარდა პროფესიული განვითარების სქემაში ჩართული მასწავლებლების რიცხვი;
- დაინერგა სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური კონსულტირების პროგრამა, შემუშავდა სსსმ მოსწავლეთა წერა-კითხვის და არითმეტიკული უნარების განმავითარებელი პროგრამა;
- შეიქმნა ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების (www.geofl.ge) ვებგვერდი, სადაც განთავსდა სასწავლო-მეთოდური მასალა. დასრულდა მუშაობა ადაპტირებული საკითხავი ლიტერატურის B1.1 დონის შედგენაზე. ასევე დასრულდა მუშაობა B1.1 დონის სახელმძღვანელოს (შემსწავლელის წიგნი, სავარჯიშოების რვეული, მასწავლებლის წიგნი, აუდიო და ვიდეომასალა) შედგენაზე;
- ორენოვანი ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მომზადდა აკადემიური ნაშრომი „ახალი ევროპულ-ქართული აკადემიური ორენოვანი ელექტრონული ლექსიკონების შედგენის მეთოდოლოგიური საკითხები“ და „ქართულ-ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორია“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- არაქართულენოვანი სკოლების (სადაც ჩართული იყო პროგრამა „ვასწავლოთ ქართული როგორც მეორე ენა“) მოსწავლეთა საატესტატო გამოცდების შედეგები გაუმჯობესდა 15%-ით;
- სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა წინა წლის მონაცემებთან შედარებით გაიზარდა 14%-ით;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეგიდით, საქართველოს მასშტაბით, თბილისის და ქუთაისის მასწავლებლის სახლების მეშვეობით პროფესიული გადამზადება გაიარა 24 815 მასწავლებელმა.

4.1.3. უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური

დასახული შუალედური შედეგები:

- სეზონური უნიფორმით და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით უზრუნველყოფილი მანდატურები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემცირებული დანაშაულების რაოდენობა, შემცირებული გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა;
- საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის გაზრდილი ნდობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მანდატურებმა უზრუნველყვეს:
 - ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
 - ✓ პრევენციული ღონისძიებების ჩატარება საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული და ნარკოტიკული დანაშაულების აღმოფხვრის მიზნით;
 - ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მინიმუმამდე შემცირდა მოზარდ მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირების, მათ მიერ ცივი იარაღის ტარების და ალკოჰოლური საშუალებების გავრცელება;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუმჯობესდა დისციპლინა, გაიზარდა საზოგადოების ნდობა მანდატურის სამსახურის მიმართ;
- განხორციელდა მანდატურების გადამზადება მათი საქმიანობის სფეროსთვის მიკუთვნებულ სხვადასხვა დისციპლინაში;
- სამსახურმა უზრუნველყო ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე პირების, მათი ოჯახის წევრებისა და მასწავლებლებისათვის მომსახურების გაწევა, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია დაეხმაროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 9-11 კლასის მოსწავლეებს პროფესიის სწორად არჩევაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონფლიქტების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული შემცირდა 70%-ით;
- ნარკოტიკული დანაშაული შემცირდა 80%-ით;
- გაიზარდა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელი;
- ფსიქოლოგიური პრობლემებისა და ქცევითი დარღვევის მქონე სულ 582 მოსწავლეს და მათ ოჯახის წევრებს გაეწია ფსიქო-სოციალური მომსახურება;
- 17 965 მოსწავლე ჩართული იყო პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამაში;

4.1.4. განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება (32 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
- ✓ სსიპ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დასახული შუალედური შედეგები

- წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით;
- გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებული მოსწავლეები და სკოლები;
- დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში;
- ამაღლდება მოსწავლეების მოტივაციის დონე;

მიღწეული შუალედური შედეგები

- ჩატარებული ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები. ამასთან, ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში გამარჯვებულებმა მიიღეს მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიადებში;

- მედლებით დაჯილდოებული წარჩინებული მოსწავლეები;
- მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო და სასკოლო ბიბლიოთეკების განახლების დაფინანსებული პროექტები.
- მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა სხვადასხვა თემატური და კალენდარული დღისადმი მიძღვნილ კონკურსებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგნობრივ ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე დაჯილდოებული მოსწავლეების რაოდენობის ზრდა -36%-ით;
- სასწავლო წლის ბოლოს წარჩინებულ მოსწავლეებისათვის გაცემულია 1 208 ოქროს და 872 ვერცხლის მედალი;
- წლის განმავლობაში დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის 60 საგანმანათლებლო პროექტი.

4.1.5. განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (32 02 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები

დასახული შუალედური შედეგები

- განხორციელდება ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება და მონიტორინგი;
- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შეფასდება 700-ზე მეტი ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება, 200-ზე მეტ საჯარო სკოლას გაეწევა კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;
- გაიზრდება განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის ხარისხი სპეციალური პროფილის სკოლა-პანსიონებში და მოხდება ჩასარიცხი ყველა ბავშვის შეფასება, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში;
- გაუმჯობესდება საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესი, კერძოდ, მოეწება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის დამატებითი ადამიანური რესურსით, სპეციალიზებული ინვენტარით, ტექნიკით, განმავითარებელი თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით აღჭურვილი ინტეგრირებული კლასები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სპეციალური პროფილის სკოლა-პანსიონებში გაუმჯობესდა განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის ხარისხი. განხორციელდა აღნიშნულ დაწესებულებებში ჩასარიცხი ყველა ბავშვის შეფასება, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში;
- მულტიდისციპლინური გუნდის წევრები გადამზადნენ ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტების ჩატარებისა და ინტერპრეტაციის სწავლების საკითხებში;
- სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარები უზრუნველყოფილ იყვნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა;
- რიგ საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის მოეწყო დამატებითი ადამიანური რესურსით, სპეციალიზებული ინვენტარით, ტექნიკით, განმავითარებელი თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით აღჭურვილი ინტეგრირებული კლასები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინურმა გუნდის მიერ შეფასებულ მოსწავლეთა რიცხვი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 54%-ით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მიზნით იდენტიფიცირებულია 114 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური რესურსით აღჭურვილი ინტეგრირებული კლასების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 3 ერთეულით;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 28 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს გაეწია დახმარება.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლე, ასევე კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.

4.1.7 საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- პროგრამის ფარგლებში ღონისძიებებში „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ და „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლები გაერთიანებულ სამეფოში“ მონაწილე გამარჯვებული მოსწავლეები გაივლიან ინგლისური ენის შემსწავლელ ორკვირიან კურსებს ინგლისში;
- ამაღლებული ცოდნის დონე, ახალი გამოცდილებისა და უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურის გაცნობა;
- „საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლა საქართველოში“ მონაწილეების დაინტერესება და მიიღებული ცოდნა და გამოცდილება საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების მიმართ.

მიღწეული შუალედური შედეგები

- 600 მოსწავლემ გაიღრმავა ცოდნა ინგლისურ ენაში;

- სხვადასხვა კონკურსებიდან შერჩეულმა მოსწავლეები შეისწავლეს ლიდერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები;
- არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლეებმა აიმაღლეს ცოდნის დონე სახელმწიფო ენაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- საზაფხულო სკოლების მონაწილეთა მინიმუმ 50%-ს აქვს საგრძნობი წინსვლა, ინგლისური ენის ფლობის თვალსაზრისით;
- ინტერნაციონალური საზაფხულო სკოლის 40 მონაწილემ, აიმაღლა ცოდნის დონე სახელმწიფო ენაში;
- 80 მოსწავლემ აიმაღლა ლიდერისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- პროგრამაში ჩართული იქნება ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდისათვის გალისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონების ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის კუთვნილი ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ფინანსური დახმარება მიიღო 1 000-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

4.1.9 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა (პროგრამული კოდი 32 02 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯები

დასახული შუალედური შედეგები

- ქვეპროგრამის ფარგლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულს შესაძლებლობა მიეცემა სპეციფიკურ გარემოში შეისწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნები და მიიღოს შესაბამისი ატესტატი, რაც მიაწიჭებს უფლებას, სწავლა განაგრძოს განათლების სხვა საფეხურზე;
- სასჯელაღსრულების პერიოდის დასრულების შემდგომ პატიმრების ნაწილს ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სპეციფიკურ გარემოში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნების შესწავლის და სკოლის დამამთავრებელ საატესტატო გამოცდებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის;

- ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულისათვის;
- ერთიან ეროვნულ გამოცდებში დარეგისტრირებისა და მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფ პატიმრებისათვის, რომლებმაც წარმატებით დასძლიეს საგამოცდო პროგრამა და ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სხვადასხვა პროფესიას დაუფლებული მსჯავრდებულები;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართულია 100 - მდე მსჯავრდებული;
- ექსტერნის ფორმით სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონეზე გამოცდები ჩააბარა 36 მსჯავრდებულმა, საატესტატო გამოცდა დაძლია 7 მსჯავრდებულმა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მონაწილე 4 მსჯავრდებულმა წარმატებით დასძლია გამოცდა და ჩაირიცხნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სხვადასხვა პროფესიული განათლების კურსებში ჩართულ მსჯავრდებულთა გაზრდილმა რაოდენობამ, შეადგინა 59.

4.1.10 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (პროგრამული კოდი 32 02 10)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი

დასახული შუალედური შედეგები

- 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის სრულად დანერგვა ქართულენოვანი სკოლების I-XII კლასებისთვის და არაქართულენოვანი სკოლების I-VI კლასებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პირველი ეტაპის მონიტორინგი;

მიღწეული შუალედური შედეგები

- შეფასების შედეგების ელექტრონული ბაზა და მონიტორინგის ჩარჩო საბაზო-საშუალო საფეხურებისთვის;
- განხორციელდა სკოლების საჭიროებების შეფასება, სადაც სწავლობენ გონებრივი განვითარების მძიმე დარღვევის მქონე მოსწავლეები, მომზადდა ალტერნატიული სასწავლო გეგმის მოდელი;
- შემუშავდა ენობრივი განათლების კონცეფცია, რეკომენდაციები და წინადადებები, მათ შორის ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მომზადებულია ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ანგარიში, ასევე საბაზო საფეხურის მონიტორინგის მასალები;
- დასრულებულია I-VI კლასების საგნობრივი სტანდარტები;
- დასრულებულია ალტერნატიული სასწავლო გეგმის მოდელი;
- შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის ვებპორტალი ncp.ge .

4.1.11 ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 32 02 11)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დასახული შუალედური შედეგები

- ბენეფიციარებისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მათი ზოგადი განათლების ხელშეწყობა

მიღწეული შუალედური შედეგები

- იმ მოსწავლეების სკოლაში ტრანსპორტირება (ავტობუსით, მიკროავტობუსით), რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში (სოფელი, დაბა), სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სოფლებს შორის მანძილი დიდია;
- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებულებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტები;
- საქართველოს ყველა საჯარო სკოლებისთვის და სურვილისამებს კერძო სკოლებისთვის გადაცემული სასკოლო ჟურნალების გამარტივებული/ადაფტირებული ვერსია;
- საქართველოს მასშტაბით საპილოტე სკოლებში სამედიცინო კაბინეტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებლის გაუმჯობესება;
- ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლების უზრუნველყოფა 1 672 ცალი სხვადასხვა დასახელების ტესტების კრებულებითა და დამხმარე სახელმძღვანელოებით;
- 100-მდე საჯარო სკოლა, სადაც მოეწყო/აღიჭურვა სამედიცინო კაბინეტები;

4.2 უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ - ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - გიორგი ელიაშვილის სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დასახული საბოლოო შედეგები

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე;
- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება;
- ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაფინანსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და უზრუნველყოფილი ხარისხიანი სასწავლო პროცესები;
- ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდები, საერთო სამაგისტრო გამოცდები, მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები, 2013-2014 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდები და პროფესიულ სასწავლებლებში მისაღები გამოცდები;

- დაფინანსებული სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები და დანერგილი ახალი სამეცნიერო პროდუქტები, სასწავლო და სამაგისტრო გრანტები;
- განხორციელდა დაფინანსება საგრანტო კონკურსში გამარჯვებულმა დოქტურანტურის სტუდენტები, ასევე წარჩინებულმა სტუდენტებმა მიიღეს სტიპენდიები;
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის ბენეფიციარები;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება დაუფინანსდათ სხვადასხვა სოციალური კატეგორიისა და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს.

4.2.1. გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

დასახული შუალედური შედეგები

- განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ მხოლოდ შესაბამისი ცოდნის მქონე პირები;
- გაიზარდა კვალიფიციურ მასწავლებელთა რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ჩატარდა სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული და სამაგისტრო, მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდები, გაიზარდა კვალიფიციურ მასწავლებელთა რაოდენობა;
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა The Program for International Student Assessment (PISA)-ის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დასრულდა კვლევის პილოტირება;
- მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის Trends in International Mathematics and Science Study (TIMSS) ფარგლებში დასრულდა კვლევის პილოტირება;
- სწავლებისა და სწავლის მეორე საერთაშორისო გამოკითხვა Teaching and Learning International Survey (TALIS) კვლევისთვის ფარგლებში მომზადდა კვლევის ინსტრუმენტები და მონაცემთა ბაზა;
- დასრულდა ძირითადი კვლევისთვის კითხვარების ვერიფიკაციის პროცესი, შეიქმნა კვლევაში ჩართული პედაგოგების მონაცემთა ბაზები;
- შეიქმნა შეფასების ჩარჩო, აგრეთვე შეიქმნა და რედაქტირდა ტესტური დავალებების ბაზა. შეიქმნა მოსწავლის, მასწავლებლის, დირექტორისა და მშობლის კითხვარები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო, პროფესიული განათლებისა და საატესტატო გამოცდების მომზადებისა და ჩატარების ხარისხი პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.
- სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ მოწმობა მიღებულ მოსწავლეთა ცოდნის დონე 100%-ით შეესაბამება ზოგადი განათლების სტანდარტებს.

4.2.2 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02)

4.2.2.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დასახული შუალედური შედეგები

- კონკურენტული კვლევითი გარემო;
- შექმნილი ტექნიკური ბაზა სამეცნიერო კვლევებისთვის;
- მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი;
- უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ;
- ახალგაზრდა მეცნიერთა მატერიალური მხარდაჭერა და წახალისება, ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის გაცემული სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები;
- საგრანტო კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესების გაღრმავება;
- სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზების მიზნით მოწყობილი სამეცნიერო-კვლევითი კონკურსები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- დაფინანსებულ პროექტთა და მეცნიერთა გაზრდილი რაოდენობა;
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების მიერ აღიარებული ქართული სამეცნიერო პროექტების გაზრდილი რაოდენობა;
- სამეცნიერო საქმიანობის პოპულარობის და დაინტერესების ხარისხის ზრდა სკოლის მოსწავლეებში.

4.2.2.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 04 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დასახული შუალედური შედეგები

- შეიქმნება კონკურენტული კვლევითი გარემო;
- გაიზრდება ახალგაზრდა მეცნიერთა კვალიფიკაცია.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდისათვის ჩატარებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის გაღრმავება და კონკურენტული კვლევითი გარემოს ჩამოყალიბება;
- ორგანიზებული და ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, სიუბილეო დღეები და სხვა ღონისძიებები.

4.2.2.3 მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

დასახული შუალედური შედეგები

- გამოქვეყნდება აკადემიკოსთა სამეცნიერო ნაშრომები, გამოიცემა სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალი.

მიღწეული შუალედური შედეგები

- შემუშავებული სხვადასხვა სამეცნიერო წინადადებები;
- აკადემიკოსთა გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, გამოცემული სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების გაზრდილი რაოდენობა.

4.2.2.4 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 02 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დასახული შუალედური შედეგები

- დამოუკიდებელ რეცენზენტ - ექსპერტების, პრაქტიკოსების, მეცნიერების მიერ აგროსასურსათო სექტორში წარმოებული კვლევის შედეგები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მომზადდა და გამოიცა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები სოფლის მეურნეობის საკითხებზე;
- ჩატარდა ადგილობრივი და საერთაშორისო სემინარები და კონფერენციები;
- გაიმართა სამეცნიერო შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატით;
- საანგარიშო პერიოდში გამოცემული იქნა რეკომენდაციები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე მომზადებულ ნაშრომებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აგროსასურსათო სექტორში წარმოებულ კვლევათა რაოდენობის ზრდა.

4.2.3 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;

დასახული შუალედური შედეგები

- უმაღლესეში სასწავლო გრანტის გაზრდილი დაფინანსება;
- შესაბამისი გამოცდების წარჩინებით ჩამბარებელთა განათლების მიღებასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთის შემსუბუქება;
- სტუდენტების მოტივაციის ამაღლება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტები;
- სახელმწიფო მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტირებული

საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულების/მიმართულებების დაფინანსება;

- წარჩინებულ სტუდენტებზე გაცემული სტიპენდიები;
- მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები;
- საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ დოქტურანტურის სტუდენტებზე გაცემული გრანტები;
- პროგრამის „ცოდნის კარის“ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სტიპენდიების მქონე სტუდენტთა რაოდენობა აღემატება 2 700-ს;
- სრული ან ნაწილობრივი სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;
- სახელმწიფო მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან/და დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტირებული საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული მიმართულებაზე/მიმართულებებზე დაფინანსდა 11 000-ზე მეტი სტუდენტი;
- აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სასწავლო და სამაგისტრო გრანტით დაფინანსებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა;
- პროგრამა „ცოდნის კარის“ ფარგლებში დაფინანსებულ პირთა რაოდენობამ შეადგინა 175 პირი.

4.2.4 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დასახული შუალედური შედეგები

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტეგრაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

მიღწეული შუალედური შედეგები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის ჩამოყალიბებული ხელსაყრელი სამუშაო გარემო;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტეგრაცია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უზრუნველყოფილი ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა და პერსონალის პროფესიულ განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა;

4.3 საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეიქმნება სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- უზრუნველყოფილი საგანმანათლებლო დაწესებულებები კომპიუტერული ტექნიკით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით კომპიუტერებით აღჭურვილი საჯარო სკოლები;
- პორტატული კომპიუტერით წახალისებული ნიჭიერი და წარჩინებული მოსწავლეები;
- საბავშვო - სასწავლო პორტატული კომპიუტერით უზრუნველყოფილი პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები;
- აშენებული და აღდგენილი რიგი საჯარო სკოლები და პროფესიული კოლეჯები;
- ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

4.3.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- შექმნილი თანამედროვე სასწავლო გარემო შესაბამისი კომპიუტერული აღჭურვილობითა და ინტერნეტ-კავშირით, წახალისებული პირველკლასელები, ასევე ნიჭიერი და წარჩინებული ახალგაზრდები სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საჯარო სკოლებს მიეწოდათ პირველკლასელებისა და მათი დამრიგებლებისათვის გადასაცემად საბავშვო სასწავლო პორტატული კომპიუტერები;
- მოხდა ნიჭიერ და წარჩინებული მოსწავლეების პორტატული კომპიუტერით წახალისება.
- რიგი თბილისის საჯარო სკოლები და პროფესიული სასწავლებლები აღიჭურვენ კომპიუტერული ტექნიკით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი საჯარო სკოლების გაზრდილი რაოდენობა;
- შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საჯარო სკოლების პირველკლასელთა 100% უზრუნველყოფილ იქნა პერსონალური კომპიუტერებით („ნეთ-ბუქებით“).

4.3.2 საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 32 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

- ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩამოყალიბებული სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები.

მიღწეული შუალედური შედეგები

- დასრულდა რიგი საჯარო სკოლების, პოროფესიული სასწავლებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- დასრულდა რიგი საჯარო სკოლების გამაგრებითი სამუშაოები, გაზიფიცირება და გათბობის სისტემის დამონტაჟება;
- მოეწყო რიგ საჯარო სკოლებში სპორტული მოედნები;
- რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო და აღიჭურვა სამედიცინო ოთახები;
- შესწავლილი იქნა რიგი საჯარო სკოლების ავარიულობის საკითხი;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) საჭიროებების გათვალისწინებით რიგ საჯარო სკოლებში მოეწყო/რეაბილიტაცია ჩაუტარდა შესაბამის ინფრასტრუქტურას, მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილები და დამაგრდა პანდუსები;
- განხორციელდა რიგი საგანმანათლებლო დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებულ და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა.

4.4 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები;
- ✓ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

დასახული საბოლოო შედეგები

- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებული კვალიფიციური პერსონალი.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შრომის ბაზარზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროფესიული პროგრამები;
- ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომლებმა და ქართული ენის სწავლებით დაინტერესებულმა სხვა პირებმა გაიარეს მომზადება/გადამზადება;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზაზე შექმნილი IT აკადემია - მაღალი ხარისხის პროფესიული კურსებით ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებებში და სასწავლო პროგრამებში;
- საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელმისაწვდომი თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. დანერგილი ახალი ელექტრონული მართვის სისტემები და სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემთა ბაზები.

4.4.1 პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 32 03 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;

- ✓ სსიპ/ა(ი)პ საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები.

დასახული შუალედური შედეგები

- პროფესიული განათლების მსურველი მოქალაქეების უზრუნველყოფა მაღალი ხარისხის განათლებით და სათანადო დაფინანსებით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზარზე მაქსიმალურად ორიენტირებული პროფესიული პროგრამები;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული გარემო;
- საზოგადოებრივი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილი იყვნენ ვაუჩერული, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსებით;
- ყოფილი პატიმრები, მათი ოჯახის წევრები ან/და განრიდებულები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაეუფლენ მათთვის სასურველ პროფესიებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- წინა წელთან შედარებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 85%-ით გაზრდილ სტუდენტთა რაოდენობა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 900-ზე მეტი კვალიფიციური მასწავლებელი და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალია;
- წინა წელთან შედარებით გაიზარდა რეაბილიტირებული და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა.

4.4.2 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

დასახული შუალედური შედეგები

- ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა მიერ ქართული ენის ცოდნის ამაღლების მიზნით სასწავლო პროგრამების მომზადება/განახლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საჯარო მოხელეებმა განახორციელეს სწავლება A1-A2, B1 დონის სახელმძღვანელო და სასწავლო მასალებით;
- სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 8 რეგიონულ სასწავლო ცენტრში, რომლებიც მდებარეობს ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებში განახლებული სასწავლო პროგრამით სწავლება გაიარა 1 437-მა საჯარო მოხელემ;
- „სახელმწიფო მართველობა და ადმინისტრირება“ პროგრამის ფარგლებში სწავლა განახორცილა 225 საჯარო მოხელემ საქართველოს მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან;
- გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა ნინოწმინდის რეგიონალურ ცენტრში;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მომზადებული და განახლებული სასწავლო პროგრამების რაოდენობის ზრდა;
- სხვადასხვა სასწავლო პროგრამა გავლილი ბენეფიციარებთა გაზრდილი რაოდენობა.

4.4.3 განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

დასახული შუალედური შედეგები

- გაიზრდება მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა რაოდენობა ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში;
- საქართველოს საჯარო სკოლებში შეიქმნება თანამედროვე სასწავლო გარემო შესაბამისი ინტერნეტ-კავშირის უზრუნველყოფით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ერთიანი ქსელის შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის თბილისსა და სხვადასხვა რეგიონებში საჯარო სკოლები და საგანმანათლებლო რესურსცენტრები უზრუნველყოფილ იქნა მაღალი გამტარიანობის ოპტიკური კავშირით. სკოლებსა და რესურსცენტრებში დამატებით განთავსდა უახლესი Cisco-ს როუტერები და უწყვეტი დენის წყარო. ამოქმედდა სისტემაში სკოლების განმხოლოებითი ჩართვის პრინციპი. გაიზარდა ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე;
- საჯარო სკოლებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ხელმისაწვდომი გახდა თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. დაინერგა ახალი ელექტრონული მართვის სისტემები და შეიქმნა სხვადასხვა საინფორმაციო მონაცემთა ბაზები;
- საანგარიშო პერიოდისათვის IT აკადემიამ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღო სტუდენტები, როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სექტორზე;
- წარიმართა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაცია, XI-XII კლასის სასწავლო პროგრამის ექსტერნის ფორმით დამლევის მსურველ მოსწავლეთა გამოცდების და CAT-გამოსაშვები გამოცდების ტექნიკური მხარდაჭერა, VI-IX კლასის მოსწავლეთათვის ელექტრონული ტესტირების ჩატარებისთვის სპეციალური პროგრამების ინსტალაცია და შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების სხვადასხვა სფეროში მომზადებული სპეციალისტების გაზრდილი რაოდენობა;
- საჯარო სკოლების 100% უზრუნველყოფილია ინტერნეტ-კავშირით.

4.6. სამხედრო განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია;

დასახული საბოლოო შედეგი:

- კადეტების მომზადება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და გამოსაშვები ჯგუფების მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, აგრეთვე ახალი სასწავლო ჯგუფების შევსება კადეტების ახალი ნაკადით;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების კვალიფიციური ოფიცრებით, უფროსი და უფროსი ოფიცრებით დაკომპლექტება, ოცეულის მეთაურების მომზადება;

- საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის კვალიფიციური სამანევრო, საბრძოლო უზრუნველყოფის ასეულის მეთაურების, ასევე ბატალიონის შტაბის სამსახურის უფროსებისა და ბრიგადის შტაბის ოფიცრების მომზადება;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- განხორციელება გამოსაშვები ჯგუფების მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის; მიღებულ იქნა კადეტთა ახალი ნაკადი;
- სასწავლო პროცესის სრული ციკლის ეფექტიანი ფუნქციონირება, ოფიცრთა თანმიმდევრული საფეხურებრივი სამხედრო განათლების პროცესის უზრუნველყოფა;
- მომზადებული/გადამზადებული და კვალიფიციური უმცროსი და უფროსი ოფიცრები, კაპიტნები.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- გამოშვებულ იქნა 67 კურსდამთავრებული, აქედან ერთი ჩაირიცხა ამერიკის „ვესტ პოინტის“ აკადემიაში, 66 კადეტმა მონაწილეობა მიიღო ერთიან ეროვნულ გამოცდებში, უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 65 კადეტი, მათ შორის თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში 43, თურქეთის სამხედრო სახმელეთო აკადემიაში 3, ახალ სასწავლო კურსზე ჩაირიცხა 120 კადეტი;
- მომზადებული/გადამზადებული უმცროსი ოფიცრები და კაპიტნები;
- მომზადებული/გადამზადებული და კვალიფიციური უფროსი ოფიცრები;
- მართვის თანამედროვე მიდგომებისა და მექანიზმების დანერგვა-განვითარება.

4.7 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (33 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სახელოვნებო - საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დასახული საბოლოო შედეგი:

- საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მიღწევების აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში მოპოვებული წარმატებებით;
- საქართველოს დიპლომებისა და ატესტატების მობილობა და ვალიდობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- აღიარებული იქნა საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სკოლის მიღწევები ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში, მიღწეული იქნა წარმატებები ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში;
- მიღწეული იქნა საერთაშორისო სტანდარტებთან საქართველოს დიპლომებისა და ატესტატების მობილობა და ვალიდობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- სახელოვნებო განათლების სფეროში განხორციელდა 239 კონცერტი, 23 - სტუდენტური სპექტაკლი, 49 - გამოფენა, 74 - მასტერკლასი და ვორქშოპი, 11 - სამეცნიერო კონფერენცია, 10 - ფილმის ჩვენება;
- ადგილობრივ, საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში სტუდენტებისა და მოსწავლეების მიერ მოპოვებული წარმატებები: I პრემია -(6), II პრემია -(11), III პრემია -(5), IV პრემია -(1);
- სასწავლო-შემოქმედებითი კუთხით სამაგისტრო პროგრამებს დაეუფლა 43 მაგისტრანტი, ხელი შეეწყო 10 სტუდენტის სწავლის დაფინანსებას.

4.8. განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გრძელდებოდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატისა და განათლების რესურსცენტრების მიერ აღნიშნულ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების ჰარმონიზაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან;
- საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხის ამაღლებისა და მისი მუდმივი გაუმჯობესების, აგრეთვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.

4.10. სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ საქართველოს შსს აკადემია

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამართალდამცავი სტრუქტურების მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება;
- შსს თანამშრომელთა მიერ ეთიკის კოდექსის პრინციპების სრულყოფილად დაცვა;
- სამართალდამცავთა მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ზრდა;
- სასწავლო პროცესის ხელშეწყობის მიზნით აკადემიის მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაიზარდა სერთიფიცირებული კადრების რაოდენობა;
- სამართალდამცავ სტრუქტურებში გაუმჯობესდა მენეჯმენტი; ჩამოყალიბდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია (გაიზარდა საზოგადოების ნდობა).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კადრების პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლება;

4.13. მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

დასახული საბოლოო შედეგები:

- სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩაირიცხა 16 იუსტიციის მსმენელი (სამოსამართლო კანდიდატი), რომლებიც გადიოდნენ 10 და 6 თვიან სასწავლო კურსს;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოსამსახურეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 80 ტრენინგი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული და დასრულებული სასწავლო კურსების რაოდენობა;
- ახლადდანიშნული მოსამართლეთა რაოდენობა;
- ჩატარებული აქტივობების რაოდენობა;

4.14 სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრების შერჩევა;
- სამუშაოს დაწყების პროცესში სისტემაში მისაღებ კანდიდატებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- ახალი თანამშრომლებისათვის კონსულტაციების გაწევა და კოორდინაცია მენტორების მიერ;
- სისტემაში დასაქმებული პირების კვალიფიკაციის ამაღლება და სამუშაო უნარ-ჩვევების განვითარება სისტემის დაქვემდებარებაში მყოფ სხვადასხვა სტრუქტურაში დანერგილი შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით;
- ეფექტური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობა კვალიფიციური კადრების მიწოდების გზით და სისტემაში დასაქმებული პირების სამუშაო უნარების ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სისტემაში დასაქმებულმა და სისტემასთან კავშირში მყოფმა 2 384 პირმა გაიარა მომზადება და გაიუმჯობესა სამუშაო უნარები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წელს ჩატარდა 12 170 კაც/ტრენინგ/დღე;
- საგამოცდო ბარიერი დაძლეულ იქნა ტრენინგგავლილ თანამშრომელთა 90%-ის მიერ.

4.11. იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- ჩატარებული ტრენინგების შედეგად ამაღლდება თანამშრომელთა პროფესიული ცოდნა, რაც განაპირობებს შესრულებული საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას, მათ შორის, გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები, მათ შორის: სოციალური უნარების, იურიდიული და IT მიმართულებების ტრენინგები. ამაღლდა მონაწილეთა კვალიფიკაციის დონე, დაიხვეწა მათი პროფესიული უნარ-ჩვევები;
- ორგანიზაციათა მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებულ იქნა შესაბამისი ტესტები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სოციალური უნარების ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა – 1 501. ტრენინგის მონაწილეთა 82%-ზე მეტის მიერ დაფიქსირდა ტრენინგების დადებითი შეფასება. ტრენინგის მონაწილეთა 73%-ზე მეტმა გადალახა საგამოცდო ბარიერი/კომპეტენციის ზღვარი;
- IT მიმართულების ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა – 103. მონაწილეთა 91%-ის მიერ დაფიქსირდა ტრენინგების მაღალი შეფასება;
- იურიდიული მიმართულების ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა – 1 858. მონაწილეთა 80%-ზე მეტის მიერ დაფიქსირდა ტრენინგების მაღალი შეფასება. კომპეტენციის ზღვარი გადალახა მონაწილეთა 70%-ზე მეტმა მონაწილემ;
- დანარჩენი სხვადასხვა მიმართულების ტრენინგებში მონაწილეობდა 880 პირი;
- საანგარიშო პერიოდში სულ ტრენინგი გაიარა 4 342-მდე მონაწილემ;
- ადმინისტრირებული ტესტირების მონაწილეთა რაოდენობა – 16 966 აპლიკანტი. შემუშავებული ტესტური დავალებების რაოდენობა – 2 850.
- სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 47, ხოლო მონაწილეთა ჯამურმა რაოდენობამ – 2 012.

4.15 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (23 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის საკადრო რესურსის გაძლიერება და მათი მუშაობის ეფექტიანობის ზრდა;
- სახელმწიფოს საფინანსო, საბიუჯეტო და საგადასახადო პოლიტიკის სწორად იმპლიმენტირება საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციებში;
- რეგიონალურ ჭრილში საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემასა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული მაღალკვალიფიციური კადრები;
- ფინანსთა სამინისტროში არსებული მიდგომებისა და მიმდინარე საკანონდებლო ცვლილებების სწორად იმპლიმენტირების მიზნით, სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დატრენინგება;

- კერძო სექტორის წარმომადგენელთა მომზადება/გადამზადება - საგადასახადო კანონდებლობისა და აუდიტის მიმართულებებით;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბიზნეს სექტორისათვის დაგეგმილ კურსებში სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებიდან განხორციელდა მსურველთა ტრენინგები; სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა ფინანსთა სამინისტროს სისტემის 383-მა თანამშრომელმა;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემის ახალი კადრების შერჩევის მიზნით ტესტირება ჩატარდა 606 აპლიკანტს;
- სხვა დაინტერესებული საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის ახალი კადრების შერჩევის მიზნით ტესტირება ჩატარდა 815 აპლიკანტს.
- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა საბიუჯეტო ორგანიზაციების 1917-მა თანამშრომელმა;
- სხვადასხვა მიმართულების სასწავლო პროექტები განხორციელდა კერძო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული 285 პირისათვის.
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში აკადემიის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსი გაიარა 483-მა პირმა.
- საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საქართველოს, ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნიდან აკადემიაში სწავლება გაიარა 80-მა წარმომადგენელმა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან, სამივე განხორციელებულ კურსზე გაკეთდა დადებითი შეფასება.

4.17 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების მომზადება და ჩატარება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეებისთვის კვალიფიკაციის ამაღლება;
- თანამშრომლობის გაღმავება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;
- სასწავლო ცენტრის იმიჯის პოპულარიზაცია;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა უწყებების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება;
- ამაღლდა სასწავლო ცენტრის იმიჯი და დამყარდა თანამშრომლობა უცხოელ პარტნიორებთან;
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემომარანდუმები ბრაზილიის საგარეო საქმეთა სამინისტროს „რიო ბრანკოს“ ინსტიტუტთან; არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული ეროვნული დიპლომატიური ინსტიტუტთან; ჩილეს ანდრეს ბელოს სახელობის დიპლომატიური აკადემიასთან; ურუგვაის „არტიგასის“ დიპლომატიური ინსტიტუტთან; კორეის ეროვნული დიპლომატიური აკადემიასთან;
- ამაღლდა უცხოელი დიპლომატების ინფორმაციულობის დონე საქართველოს შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა საგარეო საქმეთა სამინისტროს 213-მა და სხვა უწყებების 174-მა თანამშრომელმა (სულ 387 საჯარო მოხელე და დიპლომატი);
- სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამების შედეგად საქართველოს საელჩოებსა და საკონსულოებში გაიგზავნა მაღალკვალიფიციური კადრები;
- განხორციელდა 4 პროგრამა უცხოური ორგანიზაციების თანადაფინანსებით;
- სასწავლო ცენტრში მიმდინარე ევროკავშირის პროექტის „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, საქართველო“ ფარგლებში კვალიფიკაცია აიმაღლა 225 საჯარო მოხელემ;

5. პრიორიტეტი – მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
24 01	ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა	72,268.7	69,468.7	70,605.0	67,869.4	2,735.6
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	133,000.0	43,000.0	144,151.2	42,850.0	101,301.2
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	25,579.7	25,579.7	25,382.1	25,382.1	
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	8,389.0	8,389.0	9,275.4	9,275.4	
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	8,266.4	7,766.4	7,663.7	7,663.7	
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,308.0	4,148.0	4,319.6	4,052.6	267.0
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა- შენახვა	3,577.1	3,577.1	3,678.6	3,552.1	126.5
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	2,063.0	2,063.0	1,621.2	1,621.2	
49 02	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	1,328.0	1,328.0	1,291.5	1,291.1	0.4
49 01	საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა	1,072.0	1,072.0	963.3	963.3	
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,190.0	990.0	2,324.5	1,486.1	838.4
43 00	სსიპ - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	3,680.0	680.0	4,830.6	592.8	4,237.8
52 00	სავაჭრო-სამრეწველო პალატა	3,900.0	3,700.0	4,310.7	3,655.9	654.8
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	450.0	150.0	520.2	150.0	370.2
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		270,071.8	171,911.8	280,937.7	170,405.8	110,531.9

5.1. ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო;
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

5.1.1 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები

6. სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
7. საქართველოს სავაჭრო ბალანსის, სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესება, სავაჭრო რეჟიმებისა და ურთიერთობების განვითარება;
8. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია;
9. საქართველოში წარმოებული პროდუქტის, გაწეული მომსახურების კონკურენტუნარიანობის და საქართველოში წარმოებული პროდუქციის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის მოცულობის გაზრდა;
10. წარმოების შესაბამისობის გაზრდა ევროპული რეგულირების მოთხოვნებთან;
11. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, „მწვანე ბიზნესის“ წარმოების მიმართულებით რეგიონების შესაძლებლობების თვალსაჩინოება და ადგილობრივი ნაწარმის შექმნა;
12. საქართველოს მიმართულებით გადაზიდული ტვირთების მოცულობისა და სამგზავრო გადაყვანების რაოდენობის გაზრდა;
13. ქვეყნის სატრანსპორტო პოტენციალის ამაღლება;
14. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე მომსახურების დონის ამაღლება;
15. სატრანსპორტო სახეობებს შორის კონკურენციის გაზრდა;
16. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება;
17. სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა;
18. ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია;
19. ტექნიკური ბარიერების შემცირება ვაჭრობაში;
20. მეწარმეთა რაოდენობის გაზრდა და არსებული ბიზნესის საქმიანობის არეალის გაფართოვება, სამეწარმეო უნარ-ჩვევების ამაღლება და საინტერსო იდეების მომგებიან ბიზნესად გარდაქმნის შესაძლებლობების განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

21. ძალაში შევიდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ძირითადი ნაწილი, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA),

22. გადაწყდა 2015 წელს მოლაპარაკებების დაწყება საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე;
23. გაფორმდა საერთაშორისო შეთანხმებები და შეთანხმებების ნაწილი მომზადება ხელმოსაწერად;
24. გაუმჯობესდა ექსპორტის სტრუქტურა;
25. UNEP - ის მიერ მომზადდა ანგარიში მდგრადი მოხმარების და წარმოების განვითარების შესახებ (Sustainable Consumption and Production policies and initiatives in the Eastern European region: review of progress and way forward“);
26. განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ჩართვა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების კომპონენტების უზრუნველყოფის გზით;
27. დაიწყო მოქმედება საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის წახალისების პროგრამამ;
28. განხორციელდა ექსპორტის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ახალი ბაზრების ათვისების დახმარების გზით;
29. განვითარდა საერთაშორისო ურთიერთობები და დონორ საზოგადოებასთან ჩამოყალიბდა აქტიური თანამშრომლობა'
30. საერთაშორისო კოდების საბჭოს (ICC) შენობა-ნაგებობის საერთაშორისო კოდის (IBC) საფუძველზე შემუშავდა ახალი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების პროექტი;
31. დამტკიცდა საქართველოში ევროპული ტექნიკური რეგლამენტების (ევროკოდის) დანერგვის 5 წლიანი სამოქმედო გეგმა-სტრატეგია;
32. განხორციელდა ევროკოდების ქართულ ენაზე თარგმნა;
33. განხორციელდა პროექტების განხილვა სარეკრეაციო ტერიტორიების შესახებ;
34. სივრცითი მოწყობის გეგმის შემუშავებისათვის მომზადდა საინფორმაციო პრეზენტაცია თემაზე „საქართველო 2030“;
35. ამაღლდა ტრანსპორტის დარგის კონკურენტუნარიანობა, საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოყვანილ იქნა საერთაშორისო სტანდარტებთან. გაღრმავდა საერთაშორისო თანამშრომლობა და საქართველოს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია;
36. ეკონომიკურ საბჭოზე განხორციელდა საპენსიო სისტემის კონცეფციისა და სტრატეგიის პროექტის განხილვა'
37. საინვესტიციო კანონმდებლობის დახვეწის მიზნით შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი („ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“; „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“; „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ კანონებთან მიმართებით);
38. პოტენციურ ინვესტორებს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული საინვესტიციო კლიმატის შესახებ, ხოლო დაინტერესებულ ინვესტორებს - კონკრეტული საინვესტიციო შეთავაზებები და განხორციელდა პროექტების დამუშავება;
39. გაიზარდა საქართველოში დარეგისტრირებული უცხოური კომპანიების რიცხვი.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

40. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები:
 - ✓ საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები - საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 5%-ით, ექსპორტი შემცირდა 1.6%-ით და შეადგინა 2 861 მლნ აშშ დოლარი, მაგრამ 6.7%-ით გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი და შეადგინა 826 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით 52 მლნ აშშ დოლარით მეტია. იმპორტი გაიზარდა 7%-ით და შეადგინა 8 596 მლნ აშშ დოლარი;

- ✓ ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციები - წარმატებით განხორციელდა 20 საინვესტიციო პროექტი და 40-მდე კომპანიას გაეწია ინვესტორთა შემდგომი მომსახურება
41. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოსადმი მინიჭებული რეიტინგები - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების რეიტინგებში საქართველოს მიერ დაკავებული პოზიციები - 2014 წელს გაუმჯობესდა საქართველოს შეფასება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ანალიტიკური ცენტრების რეიტინგებში, კერძოდ წინა წელთან შედარებით Frazer Institute-ის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში“ 2014 წლის შეფასებით საქართველოს რეიტინგი გაუმჯობესდა 5 პოზიციით და დაიკავა მე-16 ადგილი 152 ქვეყანას შორის; Heritage Foundation-ის „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის“ შესაბამისად საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის კვლავ 22-ე პოზიციაზე იმყოფება „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით, ხოლო ევროპის რეგიონში 43 ქვეყანას შორის დაწინაურდა 1 პოზიციით და მე-11 ადგილი დაიკავა; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ 2014-2015 წლების შეფასებით, საქართველომ პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა და 69-ე პოზიციაზე დაიკავა; საერთაშორისო გამჭვირვალობის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ 2014 წლის შეფასებით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 175 ქვეყანას შორის მე-50 პოზიცია დაიკავა, ხოლო პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის 19 ქვეყანას შორის.
42. ექსპორტზე ორიენტირებული ახლად დარეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა -
- ✓ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ ხელშეკრულებები გაფორმდა 23 ბენეფიციარ კომპანიასთან;
 - ✓ აღნიშნული ბენეფიციარი კომპანიების მოსალოდნელი ჯამური ინვესტიცია შეადგენს 36.0 მლნ აშშ დოლარს;
 - ✓ პარტნიორი ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების საერთო ოდენობა შეადგენს 24.0 მლნ აშშ დოლარს
 - ✓ 40-დე კომპანიამ მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დახმარებით საკუთარი პროდუქცია წარადგინა მსოფლიოს პრესტიჟულ გამოფენებზე, რასაც მოყვა კონკრეტული შედეგები;
43. მწვანე ბიზნესის სფეროში განხორციელებული საპილოტე პროექტების რაოდენობა - მიმდინარეობდა სამუშაოები შემდეგ პროექტებზე: „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარება“; „მზის ელექტროენერგიის გამომუშავების სისტემის მემშვეობით სუფთა ენერგიის დანერგვა“ (საგრანტო პროექტი); დაბალემისიებიანი განვითარების საკითხის ირგვლივ, ევროკავშირის დაფინანსებით „Clima East“ („სამრეწველო დანადგარების მიერ გამოყოფილი სათბური გაზების მონიტორინგის, ანგარიშგებისა და გადამოწმების (MRV) სისტემების დანერგვა“);
44. მგზავრთნაკადებისა და ტვირთნაკადების რაოდენობა:
- ✓ ფოთის საზღვაო ნავსადგურში 2014 წელს გადამუშავებულმა ტვირთების რაოდენობამ შეადგინა 8.6 მლნ ტონა, რაც 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-ით მეტია (მათ შორის, 2014 წელს გადამუშავებულია 7,9 მლნ ტონა მშრალი ტვირთები, რაც 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში 21%-ით მეტია). საგრძნობი მატების ტენდენცია აღინიშნა გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობაშიც, კერძოდ 2014 წელს გადამუშავებულმა კონტეინერების რაოდენობამ შეადგინა 384 992 TEU, რაც 2013 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16%-ით მეტია;
 - ✓ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მიერ გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობამ შეადგინა 2.004 მილიონი მგზავრი, რაც 2013 წლის ანალოგიურ

პერიოდთან შედარებით 10%-ით მეტია (საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მიერ გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ 1991 წლის შემდეგ 2 მილიონს პირველად გადააჭარბა).

45. მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა და სამშენებლო სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლები - საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით გაიცა სულ 9 479 მშენებლობის ნებართვა, რაც წინა წელთან შედარებით მეტია 247-ით (მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობაზე - 64 ნებართვა, რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებია 16-ით), ხოლო მშენებლობა დასრულდა 2452 ობიექტზე (წინა წელთან შედარებით ნაკლებია 711-ით);

5.1.2. სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

46. სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ხარჯების შემცირება და მოგების გაზრდა;
47. სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების ეფექტური მართვა და განკარგვის სწორი სტრატეგიის განხორციელება;
48. საპრივატიზებო ობიექტების გაყიდვების გაზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და შესაბამისად ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების პროცესის გამარტივება;
49. სახელმწიფო საწარმოების აქტივებისა და პასივების მიმართ მიზანმიმართული სტრატეგიის შემუშავება;
50. საწარმოების ოპტიმიზაციის განხორციელება, მათი რენტაბელობის ამაღლებისა და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდების სახით ფულადი სახსრების აკუმულირების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

51. განხორციელდა სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია;
52. განხორციელდა სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ხარჯების შემცირება და მოგების ზრდა, საწარმოების ოპტიმიზაცია და მათი რენტაბელობის ამაღლება;
53. სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღწეული თანხები;
54. გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

55. პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა - ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულია 537 ობიექტი, ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით - 3 010 ობიექტი (მათ შორის 2 987 დევნილ ოჯახს გადაეცა სახელმწიფო ქონება);
56. სახელმწიფოს მიერ მიღებული დივიდენდების მოცულობა - სახელმწიფოს მიერ მიღებული დივიდენდების მოცულობამ შეადგინა 0.2 მლნ ლარი;
57. სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხული და რეგისტრირებული ქონების რაოდენობა - განხორციელდა 6 042 ქონების სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაცია; სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გადაეცათ 922 ერთეული ქონება, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცა თანხმობა 453 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების

5.1.3. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

დასახული შუალედური შედეგები:

58. საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის სოციალურად დაუცველი ოჯახების) საერთაშორისო მედიასთან და ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის, საგანგებო სიტუაციებში ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირისა და მაუწყებლობის ქსელების ფუნქციონირების და ინფორმაციული რესურსების დაცვის უზრუნველყოფა ეროვნულ დონეზე.

მიღწეული შუალედური შედეგები:

59. დაიწყო ციფრული მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობის ქსელის აგება და ასევე, დადგენილი კატეგორიის სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღები მოწყობილობებით უზრუნველყოფის და ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საინფორმაციო მხარდაჭერის კამპანია;
60. დაიწყო საქართველოს პირველი ტექნოლოგიური პარკის მშენებლობა;
61. სამრეწველო ინოვაციების (Fab Lab) და ინოვაციების ლაბორატორიების (iLab) შექმნის პროცესში დაფინანსდა 17 სტარტაპი, შეიქმნა ინოვაციების 3 ლაბორატორია და 1 ფაბლაბი საინჟინრო მიმართულებით;
62. ამოქმედდა მიკროელექტრონიკის და რობოტექნიკის მიმართულებით სპეციალისტების გადამზადებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ტრენერთა მომზადების პროგრამა (ჩატარდა 50-მდე მეტი ღონისძიება, ტრენინგი, სემინარი და კონკურსი, გადამზადდა 40-ზე მეტი სპეციალისტი მიკროელექტრონიკის და რობოტექნიკის მიმართულებით).

5.2. შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – შემოსავლების სამსახური

დასახული საბოლოო შედეგი:

- ძლიერი, ეფექტიანი და გადამხდელზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- გამარტივებული საბაჟო - საგადასახადო პროცედურები და მოქნილი საგადასახადო სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა;
- საბაჟო-საგადასახადო პროცედურების გამარტივება.
- ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება.

5.3 სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ეტაპობრივი შემცირება და დაბალი მაჩვენებლების შენარჩუნება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, რაც საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის საშინაო წყაროებით დაფინანსების საშუალება გახდება;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მართვის გაუმჯობესება;
- საბიუჯეტო პროცესისა და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობის ზრდა;
- სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება;
- ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად, საგარეო ვაჭრობაში ჩართული მეწარმეების მიერ დამატებითი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ჩატარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 38 აუქციონი;
- მომზადდა რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების (ასევე ა(ა)იპ(ებ)ის) და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაგეგმვისა და აღსრულების პროცესის სრულ ინტეგრირებას ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (E-Budget და E-Treasury) და ოპერაციების განხორციელებას ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით
- საბიუჯეტო პროცესში დაგეგმილი რეფორმების კანონმდებლობაში ასახვის მიზნით მომზადდა ცვლილებების პროექტი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში.
- დაიხვეწა პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი და ფინანსების მართვის ტექნიკური შესაძლებლობები;
- განხორციელდა ხაზინის ელექტრონული სისტემის სრულყოფა და ფუნქციონალის გაფართოება;
- მომზადდა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2014 წლის პირველი კვარტლის, 6 და 9 თვეების შესრულების ანგარიშები. ასევე, მომზადდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირების და ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია და კანონით დადგენილ ვადაში წარედგია საქართველოს პარლამენტს;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 2014 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შეადგინა 4.8%, ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტმა - 2.95%, სახელმწიფო ვალმა ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში შეადგინა 35.5%, მათ შორის საგარეო ვალმა - 26.8%.

- 2015 წლის ბიუჯეტის დაიგეგმა დეფიციტით 3%-ის ფარგლებში.
- საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების „Standart & Poor’s“, „Fitch“, „Moody’s“ შეფასებები, (საქართველოს სამივე სარეიტინგო კომპანიასთან „BB- სტაბილური“ რეიტინგი აქვს);
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტისთვის 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პირველი კვარტლის, 6 თვისა და 9 თვის ანგარიშების წარდგენა;
- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში 2014 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებები;
- ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (PFMS) განახლებული მოდულები
- ჩატარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 38 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებულ იქნა 898.5 მლნ ლარის სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია;
- შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება შვედეთთან, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული შეთანხმების ტექსტი გერმანიასთან.

5.4. მოსახლეობის და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სრულყოფილი ჩატარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 2014 წლის 15 -29 სექტემბრს მესტიის, ყაზბეგის და დუშეთის (6 თვეში) და ახმეტის (1 თვეში) მუნიციპალიტეტებში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა;
- 2014 წლის 5-19 ნოემბერს ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სავსე სამუშაოები (გარდა მესტიის, ყაზბეგის და დუშეთის (6 თვეში) და ახმეტის (1 თვეში) მუნიციპალიტეტებში);

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგი გამოყენებული იქნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

5.5 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემაში მხოლოდ ლიცენზირებული და სათანადო მომსახურებით უზრუნველყოფილი პროგრამული პროდუქტების გამოყენება;
- სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ავტომატიზებული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა;
- საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების მინიმალური რაოდენობა;
- სისტემების ავარიული გაჩერებების პრევენციის უზრუნველყოფა, ხოლო ავარიული გაჩერების შემთხვევაში სისტემების ოპერატიული და სრულყოფილი აღდგენა;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირება, მათი სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებების მკაცრი განსაზღვრა, კონტროლი და

მონიტორინგი; მომხმარებლების სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისის გამოყენების ოპტიმიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო ფინანსების მართვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემაში გამოყენებულ იქნა მხოლოდ ლიცენზირებული და სათანადო მომსახურებით უზრუნველყოფილი პროგრამული პროდუქტები;
- განხორციელდა სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი უწყებების ავტომატიზებული ბიზნეს პროცესების უწყვეტობის, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა;
- მინიმალურამდე იქნა დაყვანილი სამსახურის მიერ შექმნილ საინფორმაციო სისტემებში და ელექტრონულ სერვისებში ხარვეზების რაოდენობა;
- განხორციელდა სისტემების ავარიული გაჩერებების შემთხვევაში სისტემების ოპერატიული და სრულყოფილი აღდგენა

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- PFMS-ის სამოქმედო გეგმის ნაწილის შესრულება;
- რეალიზებული ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონალური სპეციფიკაციების შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნებთან;
- ფინანსთა სამინისტროში მოხმარებადი Microsoft-ის მიერ წარმოებული პროგრამული პროდუქტების უზრუნველყოფა კორპორატიული ლიცენზიებით;
- საინფორმაციო სისტემებში ხარვეზებისა და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის მართვის პრაქტიკის დანერგვა.

5.6. სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავება; მატერიალურ ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა სტატისტიკური კვლევები; ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოები; შემუშავდა მეთოდოლოგიური სტანდარტები; განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიური და პროგრამული სისტემები, განახლდა ოფისები და მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პერიოდულობის 100-ზე მეტი კვლევა;
- ექსპერტული შეფასება განხორციელა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

5.7. სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)

დასახული საბოლოო შედეგები:

- კვლევების შედეგად მიღებულ იქნა ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაანგარიშდა ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაანგარიშდა: მთლიანი შიდა პროდუქტი, მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების ინდექსი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) მონაცემები, ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლები, დემოგრაფიული ვითარების ამსახველი მონაცემები;
- სხვადასხვა სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გაანგარიშება;
- გავრცელდა ტურიზმის კვლევის მონაცემები;
- განხორციელდა სამომხმარებლო კალათის დადგენისთვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა;
- მიღებული იქნა როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; ექსპერტული შეფასება განახორციელეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა.

5.8. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სათანადო დონეზე შენარჩუნება და ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორების განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ესტონურმა კომპანია „Skinest Group“-მა, რომელიც კინტიშის ჰიდროელექტროსადგურში ახორციელებს 10 მილიონ დოლარის მოცულობის ინვესტიციას, თბილისის შემოგარენში შეიძინა 330 ჰა მიწა (9 მლნ დოლარი), საიდანაც 40 ჰა მიწაზე იგეგმება გოლფის სტადიონის მოწყობა (დამატებით 25 მლნ დოლარის ინვესტიცია), ხოლო 290 ჰა-ზე ახალი საცხოვრებელი უბნის გაშენება. გარდა აღნიშნულისა, კომპანიამ გადაწყვიტა ლახამისა და ცხვანდირის ჰიდროელექტროსადგურებში 80 მლნ დოლარის მოცულობის ინვესტიციის განხორციელება.;
- კომპანია „Kaya Group“-მა მიიღო გადაწყვეტილება ქუთაისში ქსოვილების სამღებროს, ზამბის ძაფისა და ქსოვილების საწარმოების გახსნის თაობაზე, სადაც დასაქმდება 3000 ადამიანი (პროექტის მთლიანი ღირებულებაა შეადგენს 140 მლნ დოლარს);
- კომპანია „ICEF“-მა მიიღო გადაწყვეტილება ხობი 2-ის ჰიდროელექტროსადგურში 70 მლნ დოლარის ინვესტიციის განხორციელების თაობაზე;
- ქიმიურ სექტორში მოღვაწე მსოფლიოს ერთ-ერთმა ლიდერმა კომპანია „Henkel“-მა მიიღო გადაწყვეტილება გარდაბნის მუნიციპალიტეტში წებოცემენტის საწარმოს აშენების თაობაზე, სადაც დასაქმდება 35 ადამიანი;
- აზერბაიჯანულმა კომპანია „ბენკონმა“, რომელიც დაინტერესებულია მარნეულის რაიონის სოფელ ბაიდარში ბეტონისა და ასფალტის ქარხნის აშენებით, აუქციონის წესით შეიძინა 2 ჰექტარი მიწა, პროექტის მიხედვით განახორციელებს 10 მლნ დოლარის ინვესტიციას და დაასაქმებს 70-80 ადამიანს;

- ექსპორტზე ორიენტირებულმა უკრაინულმა კომპანია „REC“-მა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში დიოდური მასიური განათებების ქარხნის აშენების თაობაზე. კომპანიამ ასევე შეიძინა რაჭაში მდებარე ორი საოჯახო სასტუმრო, რომელთა გარემონტება და ამუშავება დაგეგმილია მომდევნო 2 წლის განმავლობაში;
- კომპანია „Kamoos“ გეგმავს თბილისში A კლასის საოფისე შენობის აშენებას, რომლის სავარაუდო ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 15-20 მლნ დოლარს;
- საქართველომ, კომპანია „NIKE“-საგან, მიიღო ქვეყანაში „NIKE“-ის ბრენდის ტანსაცმელის წარმოების უფლება. საქართველოში აღნიშნული კომპანიის შეკვეთების შესრულების მიზნით, საწარმო „აჭარა ტექსტილმა“ გააფართოვა წარმოება და დაასაქმა 700 ადამიანი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა - სააგენტოს უშუალო მონაწილეობით განხორციელდა 91.7 მლნ დოლარის ინვესტირების ხელშეწყობა.

5.9. სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სფეროებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი მიკვლევადი ეტალონური ლაბორატორიებისა და სახელმწიფო, ეროვნული ეტალონების საერთაშორისო დონეზე აღიარება;
- საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი ექსპორტის გაზრდა;
- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების რაოდენობის გაზრდა;
- როგორც ქვეყნის შიდა მომხმარებლისათვის, ასევე საერთაშორისო დონეზე საინფორმაციო უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ფიზიკური ინფრასტრუქტურის რენოვაცია/განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- პრიორიტეტულ სფეროებში (მასა, ტემპერატურა, ელექტროგაზომვები) სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სამმა ლაბორატორიამ მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, რაც უზრუნველყოფს აღნიშნულ სფეროში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის მიერ გაცემული დაკალიბრებისა და გაზომვების სერტიფიკატების საერთაშორისო აღიარებას;
- სააგენტოს მიერ, დაინტერესებული მხარეებისათვის, პრიორიტეტულ სფეროებში ახალი მომსახურების შეთავაზების მიზნით განხორციელდა სააგენტოს ეტალონური ბაზის განახლების კომპონენტთან დაკავშირებული შესყიდვის კონტრაქტის (CIB პროექტის მეორე ეტაპი) მოსამზადებელი სამუშაოები. დაზუსტდა შესაძენი აღჭურვილობის სიები, ტექნიკური სპეციფიკაციების ჩათლით, რომლებიც შეთანხმებულია ბენეფიციართან და წარდგენილია EU დელეგაციის წარმომადგენლობასთან საქართველოში;
- ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისთვის გაიზარდა მეტროლოგიური მომსახურების ხელმისაწვდომობა, რამაც შესაბამისად აამაღლა კონკურენტუნარიანობა;
- გაიზარდა საქართველოს სტანდარტად რეგისტრირებული საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების რაოდენობა; განახლდა სტანდარტების მონაცემთა ბაზა და გაუმჯობესდა მომსახურების ელექტრონული საშუალებები;

- საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა ლაბორატორიული ფართების, ადმინისტრაციული, საოფისე და დამხმარე ინფრასტრუქტურის რენოვაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიების რაოდენობა - მიმდინარეობდა სააგენტოს ეტალონური ბაზის განახლების კომპონენტთან დაკავშირებული სამუშაოები;
- საქართველოში სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების რაოდენობა - 2014 წლის განმავლობაში დარეგისტრირდა 1004 სტანდარტი;
- სააგენტოს მომსახურების საერთაშორისო აღიარება - საქართველოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში ხარისხის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო აღიარება მოიპოვა სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სამმა ლაბორატორიამ;
- სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში სააგენტოს მონაწილეობა - სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მეტროლოგიის და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების (BIPM, ISO, IEC, CEN/CENELEC, COOMET) ეგიდით გამართულ ღონისძიებებსა და საქმიანობაში: ტექნიკური კომიტეტების შეხვედრებში, გენერალურ ასამბლეაში, სემინარებსა და ტრენინგებში, ასევე ეტალონების საერთაშორისო შედარებებში.

5.12. აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- ცენტრის საქმიანობის (აკრედიტაციის მენეჯმენტის წესები, პროცედურები და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა) სწრაფი დაახლოვება EA-ის, ILAC-ის, IAF-ის მოთხოვნებთან;
- აკრედიტაციის შედეგების თანმიმდევრული საერთაშორისო აღიარების საფუძვლების შექმნა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აკრედიტაციის სისტემაში ამოქმედდა აკრედიტაციის ახალი მიმართულებები, რამაც განაპირობა აკრედიტაციის პროცესის წარმართვა განახლებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- განხორციელდა ახალი მოწვეული ტექნიკური შემფასებლების ტრენინგები და გადაიხდა აკრედიტაციის ხარისხის დოკუმენტაცია განახლებული სტანდარტების შესაბამისად.
- გადაიღვა წარმატებული ნაბიჯები სხვადასხვა სახელმწიფოების აკრედიტაციის ორგანოებთან ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა მიმართულებით აკრედიტებულ პირთა რაოდენობა (საგამოცდო ლაბორატორიები, საკალიბრო ლაბორატორიები, სერტიფიკაციის ორგანოები, ინსპექტირების ორგანოები) - აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელდა 61 სხვადასხვა ტიპის შესაბამისობის შემფასებელი პირის აკრედიტაცია;
- განაცხადი ურთიერთაღიარების ხელშეკრულებაზე EA-ში - აკრედიტაციის ცენტრმა განაცხადით მიმართა EA-ს ორმხრივი აღიარების ხელშეკრულების (BLA) პროცედურების დასაწყებად;
- შესაბამისობის შემფასებელი პირების მოთხოვნის მიხედვით განხორციელებული აკრედიტაციის სამუშაოების რაოდენობა კანონმდებლობით რეგულირებულ და ნებაყოფლობით სფეროებში - გეგმური მონიტორინგი გაიარა 33 აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, ხოლო არაგეგმური მონიტორინგი გაიარა ორმა

საგამოცდო ლაბორატორიამ, დამატებით სფეროში აკრედიტაცია მიენიჭა 10 საგამოცდო ლაბორატორიას.

6. პრიორიტეტი – ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	50,935.4	50,935.4	49,193.4	49,193.4	
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	30,936.1	30,936.1	30,447.8	30,447.8	
04 00	საქართველოს მთავრობის კანცელარია	35,451.7	35,451.7	32,668.9	32,668.9	
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	20,028.9	20,028.9	19,313.3	19,313.3	
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	12,250.0	12,250.0	12,172.0	11,886.2	285.8
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	11,116.0	11,116.0	9,562.5	9,562.5	
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	16,173.8	16,173.8	15,031.4	15,031.4	
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	7,244.2	7,244.2	7,213.8	7,213.8	
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	7,369.5	5,469.5	13,728.3	5,261.0	8,467.3
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,500.0	3,500.0	3,479.8	3,479.8	
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	2,936.5	2,436.5	2,299.6	2,135.4	164.2
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	2,736.2	2,736.2	3,518.1	3,518.1	
26 06	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება	2,492.5	2,492.5	3,767.1	2,320.5	1,446.6
26 09	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	46,872.0	1,972.0	42,755.2	1,732.7	41,022.5
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.0	1,300.0	1,230.1	1,230.1	

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
26 08	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	45,746.0	896.0	54,056.3	2,767.1	51,289.2
26 10	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	20,982.5	982.5	18,907.3	442.5	18,464.8
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში	975.0	975.0	848.5	848.5	
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში	1,000.0	1,000.0	991.6	991.6	
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	875.0	875.0	776.0	776.0	
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავეში	890.0	890.0	777.2	777.2	
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	760.0	760.0	718.6	718.6	
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	626.0	626.0	625.0	625.0	
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	795.0	795.0	744.4	744.4	

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	750.0	750.0	736.8	736.8	
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	745.0	745.0	716.6	716.6	
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	725.0	725.0	695.8	695.8	
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	750.0	750.0	725.5	725.5	
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	600.0	600.0	588.0	588.0	
26 13	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	800.0		1,268.8		1,268.8
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		328,362.2	215,412.2	329,557.7	207,148.5	122,409.2

6.2. არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამართლიანად შემდგარი არჩევნები;
- საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია;
- არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები;
- კვალიფიციური საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები და დაინტერესებული პირები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად დემოკრატიულ, ღია და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებული არჩევნები;
- არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები;
- დატრენინგებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები და დაინტერესებული პირები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო 1,485,372-მა ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 43,31% შეადგენს (2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობის მაჩვენებელი შეადგენდა 46.6%-ს), ხოლო არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა მიიღო 617 451 ამომრჩეველმა, რაც მეორე ტურის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 36%;
- 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნები საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ დადებითად შეფასდა. ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის და გაერთიანებული სამეფოს საელჩოების ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნები ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, თვითმმართველობების გაძლიერებისკენ გადადგმულ ისტორიულ ნაბიჯად შეფასდა;
- არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე ცესკოში შემოტანილ იქნა 107 განცხადება/ საჩივარი (დაკმაყოფილდა 33, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 3) ხოლო საოლქო საარჩევნო/საუბნო საარჩევნო კომისიებში შემოვიდა 843 განცხადება/საჩივარი, (დაკმაყოფილდა 222, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 134). საარჩევნო დავებთან დაკავშირებით გაიმართა 33 სასამართლო პროცესი, მათ შორის 29 შემთხვევაში პროცესი დასრულდა ცესკოს სასარგებლოდ, როგორც პირველი ინსტანციის, ასევე აპელაციის შემთხვევაში, 2 პროცესის შემთხვევაში სრულად დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა, ხოლო 2 - დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
- დატრენინგდა: 114 ტრენერი; საოლქო საარჩევნო კომისიის 894 წევრი; საუბნო საარჩევნო კომისიის 39483 წევრი; ცესკოში მოქმედი „კონტაქტ-ცენტრის“ 38 თანამშრომელი; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 120 იურისტი; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში კანდიდატად მონაწილე 85 ქალი; ელექტრონული და სამაუწყებლო მედიის 87 წარმომადგენელი; ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების 65 დამკვირვებელი; საარჩევნო სუბიექტების (პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების) 21 წარმომადგენელი; ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების 15 წარმომადგენელი; სასჯელაღსრულების სისტემის 36 თანამშრომელი.

6.3. პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია,
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მრავალპარტიული გარემოს შენარჩუნება;
- კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის შექმნა;
- არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების დაფინანსება;
- საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე 14 პოლიტიკური პარტია;
- საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები - 35 საგრანტო პროექტი.

6.5. სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სისხლის სამართლის თანამედროვე საერთაშორისო პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი განახლებული „სისხლის სამართლის კოდექსის“ პროექტი;
- არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის დამტკიცებული სამოქმედო გეგმა;
- ვებგვერდის – data.gov.ge – მეშვეობით ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის მოდულის დანერგვა;
- პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.
- შრომის კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის მიზნით შემუშავებული და იმპლემენტირებული საკანონმდებლო ინიციატივები;
- საპროცესო შეთანხმების შესახებ მომზადებული ცვლილებები, საპროცესო შეთანხმების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები;
- განხორციელებული შემდეგი საკანონმდებლო ცვლილებები: ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის, „საჯარო სამსახურის შესახებ“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა“ და ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განახლებული „სისხლის სამართლის კოდექსის“ პროექტი;
- საპროცესო შეთანხმების შესახებ მომზადებული ცვლილებები;
- საკანონმდებლო ცვლილებები დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის შემუშავება;
- შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი;
- მომზადდა განახლებული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამუშაო ვერსია;
- ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- ტრეფიკინგონ ბრძოლის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა;

მიღწეული საბოლოო შეფასების ინდიკატორები:

- სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (ზოგადი და კერძო ნაწილები) 2014 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, ხოლო 9 ივლისს გაიგზავნა ევროპის საბჭოში ექსპერტიზისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის საქართველოს პარლამენტში გაგზავნა იგეგმება 2015 წლის საგაზაფხულო სესიაზე;
- 2014 წლის 6 აგვისტოს ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის რეფორმისა და დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
- იუსტიციის სამინისტროს მონაწილეობით შემუშავებულ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი ნაწილის პროექტი;
- ქართველი და უცხოელი ექსპერტების, ასევე, ევროკავშირისა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) რეკომენდაციების საფუძველზე ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტი. პროექტი გადაიგზავნა საერთაშორისო ექსპერტიზაზე, ასევე, პასუხისმგებელ უწყებებთან (მთავარი პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, მთავრობის კანცელარია);
- 2014 ოქტომბერში თემატურ სამუშაო ჯგუფებში განხილვების, 2010-2013 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიშის, ასევე, საერთაშორისო რეკომენდაციებისა და შეფასებების საფუძველზე საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადდა განახლებული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამუშაო ვერსია;
- საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა;
- მომზადებულ იქნა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
- 2014 წლის სხვადასხვა ორგანიზაციის ჩართულობით შემუშავდა და 2014 წლის 14 ნოემბერს გამართულ საბჭოს სხდომაზე წარდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტები: ტრეფიკინგონ ბრძოლის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა; ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის მუდმივმოქმედი ჯგუფის შემადგენლობა და საქმიანობის წესი; ტრეფიკინგის მსხვერპლზე კომპენსაციის გაცემის წესი;

6.7. ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

დასახული საბოლოო შედეგები:

- ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია და რეგიონული არქივების ჩამოყალიბება;
- მომსახურების ელექტრონული პროგრამის პარამეტრებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;
- საცავებში შენახვის პირობების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა ტერიტორიული ორგანოების ცენტრალიზაცია, ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისა და სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით გაუმჯობესდა დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობები;
- უზრუნველყოფილ იქნა მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ამაღლდა მოქალაქეთა კმაყოფილების დონე;
- საარქივო დოკუმენტების დედნებს შეუნარჩუნდათ პირველადი სახე.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ცენტრალიზაციის ფარგლებში, მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით 2014 წელს შექმნილია 12 ადგილობრივი წარმომადგენლობა;
- საანგარიშო პერიოდში აშენდა 2 ახალი არქივი და კაპიტალური რემონტი ჩატარდა 1 არქივის შენობას. დოკუმენტების შენახვისა და დაცვის პირობები მიახლოებულ იქნა საერთაშორისო სტანდარტებთან;
- გაცემული ცნობების რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 35%-ით და სერვისით კმაყოფილი მოქალაქეების რაოდენობამ შეადგინა 85%;
- 2014 წელს ელექტრონულად შენახულია 6 400 ერთეული ფოტოდოკუმენტი, 304 ერთეული კინოდოკუმენტი და 311 ერთეული აუდიოდოკუმენტი. ციფრული ასლებისა და ელექტრონული არქივის შექმნის პროექტის ფარგლებში დასკანერებულია 832 ათას გვერდზე მეტი.

6.8. ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ყველა სახელმწიფო ორგანიზაციისა და მთელი კრიტიკული ინფრასტრუქტურის ჩართვა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვა ყველა სახელმწიფო ორგანიზაციასა და კრიტიკულ ინფრასტრუქტურაში;
- სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა „მოქალაქის პორტალის“ მეშვეობით;
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის ამოქმედება;
- მონაცემთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მონაცემთა არსებობა, საინფორმაციო რეესტრების ოპტიმიზაციის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები;
- მსხვილ სახელმწიფო უწყებებსა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში ინციდენტების მართვის მაღალკვალიფიციური ადგილობრივი ჯგუფების არსებობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩაერთო ახალი ორგანიზაციები;
- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დაინტეგრირდა შსს-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანცელარიის ინფორმაციული სისტემები;

- მოქალაქის პორტალზე სრულად რეალიზებულია მოქალაქის ფუნქციონალი. ინტეგრირებულია სახელმწიფო და კომუნალური სერვისები;
- განხორციელდა ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის ტესტირება;
- გაეშვა კიბერინციდენტების მართვის განახლებული სისტემა OTRS.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დამატებით ჩაერთო 33 ახალი ორგანიზაცია. ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ 2014 წელს გადააჭარბა 20 მილიონს;
- არსებული სახელმწიფო სერვისებიდან ინტეგრირებულია 56 სერვისი; მოქალაქის პორტალზე 2014 წელს დარეგისტრირდა 7 740-ზე მეტი მომხმარებელი; სახელმწიფო დაწესებულებებიდან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვის სერვისში ჩართულია სახელმწიფო დაწესებულებების 64 ცენტრალური და 501 რეგიონული ოფისი; სულ აღნიშნული სერვისის საშუალებით 2014 წელს სახელმწიფო დაწესებულებებში გაგზავნილია 505 წერილი;
- მოქალაქის პორტალის საშუალებით შესაძლებელი გახდა სახელმწიფო დაწესებულებებთან ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვა ერთი ფანჯრის პრინციპით;
- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა გაეშვა სატესტო რეჟიმში ფოთის პორტსა და საბაჟო დეპარტამენტში;
- 2014 წელს გაეშვა კიბერინციდენტების მართვის განახლებული სისტემა OTRS. სისტემის ამუშავების შემდეგ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტში დაფიქსირდა 350 ინციდენტი. ყველა დარეპორტებულ ინციდენტზე კომპიუტერული ინციდენტების რეაგირების ჯგუფმა მოახდინა რეაგირება.

6.9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;
- წამებისა და სხვა სასტიკი, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;
- თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;
- სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრების (ბავშვის და ქალის უფლებათა ცენტრი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი) და სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;
- სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
- საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა.
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ფუნქციების შესრულება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აღმოჩენილი და დაფიქსირებული ადამიანის უფლებების დარღვევები;
- საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად გატარებული პრევენცია;
- ყველა ტიპის დახურულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგი (გეგმიური - არაგეგმიური);
- ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ამოქმედება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქვეყნის მასშტაბით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით განხორციელდა 364 არაგეგმიური ვიზიტი, გეგმიური ვიზიტები განხორციელდა: პენიტენციურ დაწესებულებებში 24 ვიზიტი, დროებითი მოთავსების იზოლატორებში 15 ვიზიტი, პოლიციის სამმართველოებში 13 ვიზიტი, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში 44 ვიზიტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში 2 ვიზიტი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ბათუმის საავადმყოფოში 1 ვიზიტი, მონახულებულ იქნა 3040 პატიმარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაწესებულებებში მონიტორინგის მიზნით განხორციელდა 9 დაწესებულების მონიტორინგი.
- ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ შემოვიდა 7929 განცხადება. აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 6555, დაუშვებლად - 1038. მართლმსაჯულების დეპარტამენტს გადაეცა 2600 განცხადება, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტს - 1646, ბავშვთა ცენტრს - 410, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრს - 232, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტს 167, ხოლო რეგიონულ სამმართველოს - 1589, ანალიტიკურ დეპარტამენტს - 70. ასევე, კონსულტანტის დახმარებით ისარგებლა 3590-მა ვიზიტორმა, ელ.ფოსტაზე შემოვიდა 645 წერილი და კონსულტაციის მიზნით განხორციელდა 1586 სატელეფონო ზარი.

6.11. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 09);

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- სახელმწიფო მასშტაბით დასახლებული პუნქტების სრული დამისამართება და სამისამართო სისტემის სრულყოფილი ბაზის შექმნა;
- დაზუსტებული კვაზიგეოიდური მოდელი;
- ქვეყნის ტერიტორიაზე ერთგვაროვანი და უზუსტესი ადგილმდებარეობისა და სიმაღლის განსაზღვრა ძალიან სწრაფად GPS მოწყობილობის მეშვეობით;
- ზუსტი საკადასტრო აზომვების ჩატარების გამარტივება;
- ტოპოგრაფიული რუკებისა და სახელმწიფო სადემარკაციო კომისიისათვის უახლესი ქართულენოვანი ციფრული მასალების შექმნა;
- ციფრული მონაცემების უზუსტობის გამორიცხვა, ზუსტი საკადასტრო აზომვები, ერთგვაროვანი მონაცემები;
- დიგიტალიზებული დოკუმენტების მოხერხებული, მოქნილი საძიებო სისტემა;
- სარეგისტრაციო პროცედურების ოპტიმიზაცია;
- ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული სარეგისტრაციო სისტემა;

- უძრავი ქონების ბაზრის განვითარების მხარდაჭერა და ბაზრის ანალიზის სისტემა, არსებული ტენდენციების შესახებ მონაცემების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ტიპის მომხმარებლისათვის;
- Mass (მასობრივი) შეფასების სისტემა; თითოეულ უძრავ ქონებაზე ინვიდუალური ელექტრონული სისტემა.
- განახლებული ინფრასტრუქტურა, რომელიც პასუხობს განსახორციელებელი პროექტების მოთხოვნებს;
- სააგენტოს საქმიანობების საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოწესრიგებული სამისამართო სისტემა;
- განხორციელდა სახელმწიფო სანიველირე ნიშნების მოკვლევა და მუდმივმოქმედი საბაზისო სადგურების შექმნა განახლებული სახელმწიფო გეგმური გეოდეზიური ქსელებითა და გრავიმეტრიული პუნქტებით;
- დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების ზუსტი იდენტიფიკაცია;
- მუდმივმოქმედი GNSS სადგურების ქსელის გახშირება;
- საარქივო მასალების აღწერა-დამუშავება, საარქივო მასალების თავმოყრა ერთ შენობაში, მოძრავი სტელაჟების შესყიდვა-მონტაჟი;
- აშენებული და გარემონტებული იუსტიციის სახლი;
- გარემონტებული სარეგისტრაციო სამსახურების შენობების ფართობები;
- გაიზარდა ქსელური ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობა;
- დამუშავდა საჰაერო, სპეციალური თვითმფრინავით გადაღებული გამოსახულებები.

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სრულად დამისამართებულია 12 ქალაქი;
- 7 მონაკვეთზე დასრულებულია სახელმწიფო სანიველირე ნიშნების მოკვლევის მომსახურება;
- ქ. გორის ტერიტორიაზე განხორციელდა დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების ზუსტი იდენტიფიკაცია;
- განხორციელდა მუდმივმოქმედი GNSS სადგურის შექმნა;
- საარქივო მასალებისთვის დიდი ლილოს ტერიტორიაზე აშენდა ახალი „დ“ ბლოკი; შეძენილი და დამოტაჟებულ იქნა სტელაჟები;
- დოკუმენტების ელექტრონულ საძიებო კატალოგში/დოკუმენტების რეესტრში აღწერილია 11 770 ბაინდერი;
- მოწყობილ იქნა ზუგდიდის იუსტიციის სახლის გარე ფასადი, დასრულებულია შიდა სარემონტო სამუშაოები, აღიჭურვა ინვენტარითა და საჭირო ტექნიკით;
- გაძლიერდა ცაგერის, ხაშურის, ნინოწმინდის, ლენტეხის, თიანეთისა და თეთრიწყაროს ელექტროენერგიის სიმძლავრეები;
- განხორციელდა 17 რაიონის აეროფოტოგადაღება.

6.12 სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

დასახული საბოლოო შედეგები:

- ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შემოწმების შედეგად მნიშვნელოვნად იკლო დარღვევების რაოდენობამ, რაც გამოწვეულია სადაზღვევო კომანიების მხრიდან აღრიცხვიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით.

6.13. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08) პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მომხმარებლისთვის სრულყოფილი სერვისების ხელმისაწვდომობა;
- მონაცემთა ბაზებში არსებული ხარვეზებით გამოწვეული შეფერხებისა და ინციდენტების რაოდენობის შემცირება;
- ამომრჩეველთა ერთიანი და ზუსტი სია;
- მომხმარებლის მაღალი მიმდებლობისა და მოთხოვნის მქონე ინოვაციური პროდუქტები, რომლებიც შეიქმნება ახალი პროდუქტის საჭიროების იდენტიფიცირებისა და შექმნის პროცედურული ჩარჩოს მიხედვით;
- პროცედურული ჩარჩო ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვისთვის;
- მკაფიოდ განსაზღვრული ინფორმაციული უსაფრთხოების ობიექტები;
- მონაცემების გადინებისა და მათთან არასანქცირებული წვდომის ინციდენტების მნიშვნელოვნად შემცირება;
- სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის შესახებ დაინტერესებული მხარეების გაზრდილი ინფორმირებულობა;
- კვალიფიციური კადრების არსებობა და შენარჩუნება, რომლებიც ეფექტიანად იმუშავენ სააგენტოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე;
- უკეთესი სამუშაო გარემო თანამშრომლებისთვის და უკეთესი პირობები მომხმარებლებისთვის;
- სააგენტოს ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტის კონსოლიდირება ერთ შენობაში, რომელშიც დაცული იქნება დოკუმენტების შენახვისთვის საჭირო პირობები;
- რაიონებში სააგენტოსა და სხვა უწყებების სერვისებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაიზარდა მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა;
- განხორციელდა სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში რიცხული ფოტოსურათების ერთმანეთთან შედარება და გაორების გასწორება;
- დაზუსტდა ამომრჩეველთა სიები;

- ტრენინგებისა და სხვადასხვა კურსების საშუალებით გადამზადებულ იქნენ სააგენტოს თანამშრომლები; შენაჩუნებულ იქნა კვალიფიციური კადრის სააგენტოდან გადინების დაბალი მაჩვენებელი;
- განხორციელდა ტერიტორიული სამსახურების სარემონტო სამუშაოები და გაუმჯობესდა თანამშრომელთა სამუშაო პირობები;
- გაიზარდა რაიონებში ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა;
- განხორციელდა თბილისის სამი რაიონის დამისამართება;
- განხორციელდა მოქალაქეთათვის ID ბარათების შეღავათიან ფასებში გაცემის აქციები;
- დიგიტალიზებული და ციფრულ ფორმატში გადაყვანილ იქნა სხვადასხვა სამოქალაქო აქტები.

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- შეიქმნა 11 ახალი ელექტრონული სერვისი;
- გასწორდა 3 000-ზე მეტი გაორება;
- ადმინისტრაციულ სამართალსა და სამართლებრივ მართლწერაში დატრენინგდა საოპერაციო დეპარტამენტის ტერიტორიულ სამსახურებში მომუშავე თანამშრომელთა 80%;
- განხორციელდა 100-მდე ტრენინგი და სხვადასხვა ტიპის შემსწავლელი კურსები;
- კვალიფიციური კადრის სააგენტოდან გადინების მაჩვენებელმა შეადგინა 6%;
- წალკის, სენაკის, ადიგენის და წალენჯიხის ტერიტორიული სამსახურებში შეიქმნა ბევრად უკეთესი სამუშაო პირობები;
- საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებადი 17 საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით გაიცა 66 903 სერვისი;
- 2014 წელს ელექტრონული აპლიკაციის საშუალებით გამოკითხული 99 მომხმარებლიდან 91% კმაყოფილია საზოგადოებრივ ცენტრებში მიღებული მომსახურებით;
- განხორციელდა თბილისის სამი რაიონის (ვაკის, საბურთალოს და დიდუბის) დამისამართების დიდი ნაწილი;
- 150.0 ათასზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა აქციით და აიღო ID ბარათი შეღავათიან ფასებში;
- დიგიტალიზებული და ციფრულ ფორმატში გადაყვანილია 837 690 აქტი.

6.14. იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ზრდა;
- მომსახურებების მაღალკვალიფიციურად და ეფექტიანად მიწოდების უზრუნველყოფა;
- იუსტიციის სახლებში ახალი მომსახურებების ინტეგრირება;
- ახალი ფილიალების გახსნა;
- პროექტ „იუსტიციის სახლის“ ცნობადობის ზრდა საერთაშორისო ასპარეზზე და პრაქტიკის გაზიარება სხვადასხვა ქვეყნისთვის.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომხმარებელთა უმეტესობის მიერ იუსტიციის სახლის მომსახურება შეფასდა დადებითად;
- იუსტიციის სახლის ქსელს დაემატა 1 ახალი ფილიალი;
- განხორციელდა პროექტ „იუსტიციის სახლის“ პრაქტიკის გაზიარება და გაიზარდა ცნობადობა სხვადასხვა ქვეყანაში.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომხმარებელთა 70% იუსტიციის სახლის მომსახურებას აფასებს ძალიან კარგად/კარგად, 26% – საშუალოდ, ხოლო 4% – ცუდად;
- მომსახურების გაწევის საშუალო დრო სერვისის მოთხოვნის დაფიქსირებიდან შეადგენს 11 წუთს;
- მომსახურების გაწევის საშუალო დრო სერვისის (მზა დოკუმენტის) მიწოდებისას შეადგენს 4 წუთს;
- გაიხსნა ზუგდიდის იუსტიციის სახლი, სადაც დღეში 600-ზე მეტი მოქალაქე იღებს შესაბამის მომსახურებას.

6.16. საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- კვალიფიკაცია ამაღლებული მოხელეები;
- ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს მოქალაქის საარჩევნო კანონმდებლობის ცოდნისა და ზოგადი უნარების დადგენა შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მაღალკვალიფიციური მოხელეების შესარჩევად.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სერტიფიცირებული 687 მოქალაქე.

6.10. ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სმართ ლოჯიკი

დასახული საბოლოო შედეგები:

- მომსახურების მიმღები დაწესებულებების ინფრასტრუქტურული ტექნიკის შეძენისა და მათ მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯების შემცირება;
- სისტემების უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცულობის დონის გაზრდა;
- მომსახურების მიმღებ დაწესებულებებს შორის სატელეფონო საუბრების დანახარჯების შემცირება;
- ელექტრონული სერვისების მაღალი ხელმისაწვდომობისა და მდგრადობის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- შემცირებული იქნა მომსახურების მიმღები დაწესებულებების ინფრასტრუქტურული ტექნიკის შეძენისა და მათ მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯები;
- გაზრდილია სისტემების უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცულობის დონე;
- მომსახურების მიმღებ დაწესებულებებს შორის სატელეფონო საუბრების დანახარჯები, ფაქტობრივად, არ არსებობს;

- უზრუნველყოფილია ელექტრონული სერვისების მაღალი ხელმისაწვდომობა და მდგრადობა;
- მომსახურებაზე აყვანილია სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაცია, მათ შორის, სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეულები.

მიღწეული საბოლოო შეფასების ინდიკატორები:

- ტექნიკის შეძენისა და მათი მხარდაჭერისას გაწეული დანახარჯები შემცირებულია საშუალოდ 30-40 %-ით;
- მომსახურების მიმღები დაწესებულებების სისტემებზე არასანქცირებული წვდომა და ვებგვერდების გატეხვა განულებულია;
- მომსახურების მიმღებ დაწესებულებებს შორის სატელეფონო საუბრების დანახარჯები განულებულია;
- მომსახურების მიმღები დაწესებულებების მიერ სერვისებზე უზრუნველყოფილია 99,9%-იანი ხელმისაწვდომობა;
- მომსახურებაზე აყვანილია 12 სახელმწიფო სტრუქტურა, მომხმარებლების ჯამური რაოდენობით – 3500, ასევე, 6000 მომხმარებელი სარგებლობს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფით, რომელსაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს სსიპ - სმართ ლოჯიკი.

6.18 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი;
- ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საჯარო და კერძო ორგანიზაციების ნაწილში დანერგილია პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტები;
- ინსპექტირების შედეგადა შეიზღუდა მონაცემებზე უკანანო წვდომა და გასაჯაროება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა;
- გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი.

7. პრიორიტეტი – იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	44,025.0	44,025.0	98,023.7	98,023.7	
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	41,212.5	41,212.5	41,151.1	41,151.1	
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	7,484.6	7,484.6	8,213.1	8,213.1	
22 00	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.0	1,350.0	1,297.5	1,297.5	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		94,072.2	94,072.2	148,685.4	148,685.4	0.0

7.1. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთარ სახლებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის პირობების შექმნა;
- საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დევნილთა და მათი ადგილობრივი გაერთიანებებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა (კოლექტიური საცხოვრებელი ცენტრების მშენებლობა და ინფრასტრუქტურული განვითარება) და მათი საზოგადოებრივი აქტივობის მხარდაჭერა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 1990-იანი წლების იძულებით გადაადგილებულ პირთა, ასევე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ხანგრძლივი საცხოვრებელი პირობების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწყობა და ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დევნილთათვის აშენებული ახალი საცხოვრებელი სახლები;
- გაუმჯობესებული საკანალიზაციო სისტემა;
- გაუმჯობესებული წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები;

- რეაბილიტირებული ქუჩები, მოედნები და სანიაღვრე არხები;
- დასრულებული საბავშვო ბაღი.

7.2. განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი,

დასახული საბოლოო შედეგები:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართის შეძენა, აშენება, რეაბილიტაცია და კერძო საკუთრებაში გადაცემა;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, საკადასტრო-აზომვითი, შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზებისა და თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო, საექსპერტო, დეფექტური აქტებისა და ხარჯთა ნუსხების შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია;
- დევნილთა, ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა რაოდენობის დაზუსტება და მათთვის, კომუნალური მომსახურების დავალიანების ნაწილობრივი დაფინანსება, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
- საქართველოში იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის საცხოვრებელი, სოციალური და ეკონომიკური რეინტეგრაციის ხელშეწყობა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
- ფართების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახების ყოველთვიური სოციალური დახმარება;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;
- გრძელვადიანი განსახლებისათვის განსაზღვრულ ობიექტებში (აშენებული, რეაბილიტირებული) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე, ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა;
- 2014 წლის 1 მარტამდე ორგანიზებულად განსახლებული ერთი დევნილის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის და ორგანიზებულად განსახლების ობიექტების ადმინისტრაციის, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ხარჯების (მათ შორის, ობიექტებში განსახლებულ დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა მიერ მოხმარებული წყლის, ასენიზაციისა და დეზინფექცია-დერატიზაციის, ნარჩენების გატანის, ჩასახლების ობიექტებში მომსახურებისა და მიმდინარე შეკეთების სხვა ხარჯები) დაფინანსება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2012-2014 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ ფარგლებში განხორციელდა:
 - ✓ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 100 ობიექტი, აღწერილ იქნა 2 900 ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 2 365 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები გადაეცა 1 729 ოჯახს;
 - ✓ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუშთავრებელი შენობებების რეაბილიტაცია, სადაც გადაყვანილ იქნა 854 დევნილი ოჯახი (ქ. თბილისში, რუსთავეში, ბათუმში, ქუთაისში, ხაშურში, წყალტუბოში, თეთრიწყაროში, ქარელში, ვანში, თერჯოლაში, ზესტაფონსა და ზუგდიდში);
 - ✓ დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 2 ობიექტზე, კერძოდ, ქ.ახალციხეში, რუსთაველის ქ.№113-ში და ქ.ხაშურში, რუსთაველის ქ.№38-ში;
 - ✓ ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 84 ობიექტს;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით შეძენილ იქნა საცხოვრებელი სახლები: ქვემო ქართლის, კახეთის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში - 120, ხოლო თბილისსა და დაბა წყნეთში 32; ასევე, ქ.თბილისში, ახლადშენებულ კორპუსებში, ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ შეძენილი იქნა 261 ბინა;
- განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 8 ყოფილი კომპაქტური ობიექტის გამოსყიდვა - სულ 420 ბინა;
- სახურავის შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 13 ობიექტს, ხოლო მიმდინარეობდა 15 ობიექტზე; წყალ-კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 4 ობიექტს, მიმდინარეობდა - 11 ობიექტზე; გაზომომარაგების სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობდა 9 ობიექტზე, ელექტროგაყვანილობის ქსელის მოწყობის სამუშაოები ჩაუტარდა 4 ობიექტს, მიმდინარეობდა - 1 ობიექტზე, სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 6 ობიექტს, ხოლო მიმდინარეობდა 5 ობიექტზე;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 001 სარეიტინგო ქულაზე ნაკლების მქონე 21 944 დევნილ ოჯახს გადაეცათ ელექტრონული ბარათები, რომელზეც დარიცხული იყო 200 ლარი, 2014-2015 წლების ზამთრის სეზონში სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფისათვის, ხოლო 2008 წლის 6 აგვისტოდან რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოზე განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად 5 815 დევნილი ოჯახისთვის ნოემბერსა და დეკემბერში მოხმარებული ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის ხარჯების ასანაზღაურებლად ყოველთვიური ლიმიტი განისაზღვრა 50 ლარით;
- ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე დევნილთა ორგანიზებულად განსახლების ობიექტებში (ყოფილი კომპაქტური) განხორციელდა 2014 წლის 1 მარტამდე მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დავალიანების ანაზღაურება;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 4 653 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 964 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);
- ვაჟა-ფშაველას გამზირი №25-ში მდებარე სასტუმრო „აფხაზეთის“ შენობიდან გამოსახლებულ 111 დევნილ ოჯახს აუნაზღაურდა საკომპენსაციო თანხები;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- 103 ობიექტს ჩაუტარდა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო, სამშენებლო-სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- კერძო საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა გადაეცა იძულებით გადაადგილებულ პირთა 1 729 ოჯახს; დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე მასალები მომზადდა და გადაიგზავნა 2 365 ოჯახზე;
- გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფილი იქნა 1 426 ოჯახი.

7.3. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი,
- ✓ ტერიტორიული ორგანოები

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, თავშესაფრის მაძიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;
- დევნილი მოსახლეობის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე;
- რეპატრიანტის სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად;
- არალეგალური მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა;
- რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების გამოკვეთა, აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად;
- ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა. განსახილველად შემოვიდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა 928 აპლიკაცია 1791 პირზე. აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 106 პირს, ხოლო შეუწყდა - 8 პირს, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 26 პირს და სტატუსის მინიჭებაზე უარი განეცხადა - 228 პირს;
- შევსებულ იქნა დევნილთა უძრავი ქონების 35 დეკლარაცია, მოხდა 100 შევსებულ დეკლარაციაში ჩამატებების შეტანა და არქივში დაცულ 1 790 დეკლარაციაში დოკუმენტების ჩამატება. ასევე, დევნილთა ქონებრივი დეკლარაციების ბაზაში გადამოწმდა 10 265 დეკლარაცია. მიმდინარეობდა უძრავი ქონების დეკლარაციების მონაცემთა ბაზის

ინტეგრაციისათვის ტექნიკური სპეციფიკაციების შესწავლა-შეჯერება და დევნილთა მონაცემთა ბაზასთან ინტეგრაციის პროცესი.

- „მობილურობის ცენტრის“ მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში:
 - ✓ 62 ბენეფიციარმა მიიღო კონსულტაცია საქართველოში დასაქმების შესაძლებლობების შესახებ;
 - ✓ 23 ბენეფიციარმა გაიარა პროფესიული გადამზადების ტრენინგი, ხოლო 76 ბენეფიციარმა - ტრენინგი ბიზნეს გეგმის შემუშავების შესახებ;
 - ✓ 26 ბენეფიციარს აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება;
 - ✓ 13 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნა დროებითი საცხოვრებლით;
 - ✓ 39 ბენეფიციარის გაეწია სხვადასხვა სახის დახმარება (საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ხელსაწყოების შეძენა დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის, სხვადასხვა სერვისის მისაღებად გადამისამართება სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, და ა.შ.)
 - ✓ „მიზნობრივი ინიციატივა საქართველოსთვის“ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 70 ბიზნეს პროექტი (მემინდვრობა, მესაქონლეობის ფერმები, საოჯახო ტიპის სასტუმროები, ავტოსერვისცენტრები და ა.შ.);
- დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად გამოვლინდა სტიქიით დაზარალებული განსასახლებელი ოჯახები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მათთვის შეძენილ იქნა 32 საცხოვრებელი სახლი; ასევე შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ პანტანარში დაზარალებული ოჯახებისათვის შეძენილი იქნა 4 საცხოვრებელი სახლი.

8. პრიორიტეტი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	52,539.2	47,639.2	62,137.3	55,731.1	6,406.2
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	60,124.0	60,064.0	59,977.8	59,849.0	128.8
42 00	სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი	39,194.0	38,194.0	39,712.2	38,181.9	1,530.3
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	19,995.1	17,195.1	21,293.9	17,539.1	3,754.8
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	15,281.3	15,281.3	15,272.3	15,272.3	
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	7,434.7	6,834.7	7,569.1	6,800.1	769.0
33 01	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,576.8	5,576.8	5,509.2	5,509.2	
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	4,742.0	4,742.0	4,721.9	4,721.9	
33 05	კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის და ფინანსური ძლიერების პროგრამა	1,046.8	896.8	886.7	886.7	
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	10,546.6	10,546.6	19,311.4	19,311.4	
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,448.4	2,448.4	2,448.4	2,448.4	
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1,000.1	1,000.1	1,000.0	1,000.0	
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,811.0	1,811.0	1,811.0	1,811.0	
45 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	958.4	958.4	958.4	958.4	

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ლონისძიებები	1,800.0	1,800.0	1,800.0	1,800.0	
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.1	653.1	653.1	653.1	
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	500.0	500.0	
45 06	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	446.9	446.9	446.9	446.9	
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	260.8	260.8	260.8	260.8	
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	230.0	230.0	
45 02	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	150.0	150.0	150.0	150.0	
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	100.0	100.0	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		226,839.2	217,329.2	246,750.3	234,161.2	12,589.1

8.1. ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ანსამბლები;
- ✓ საქართველოს თეატრები.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქართული კულტურის მაქსიმალური პოპულარიზაცია საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში, ასევე მის საზღვრებს გარეთ;
- ახალი მიღწევებითა და თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შევსების შესაძლებლობა და კულტურული ფასეულობების პოპულარიზაცია;
- საქართველოს რეგიონებში ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ფესტივალების, კონკურსების, კონცერტების, გამოფენებისა და მასტერკლასების მოწყობა-ორგანიზება;
- საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველ და უცხოელ ხელოვანთა მოწვევა;
- საიუბილეო და შემოქმედებითი საღამოების, ახალი იდეებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, საქართველოს რეგიონების კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გააქტიურდა საზოგადოების ინტერესი ქართული კულტურის ღირებულებების მიმართ; მოხდა: ქართული კულტურის პოპულარიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გამოფენების, ფესტივალების, კონკურსების, მასტერკლასების, შემოქმედებითი საღამოების მოწყობით; გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. გაიზარდა ქართული ხალხური სიმღერისა და ფოლკლორული ანსამბლების მხარდაჭერა, გაუმჯობესდა საქართველოს რეგიონების კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; აღიჭურვა: კულტურის ობიექტები კინოჩვენებებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური აპარატურით, ფოლკლორული კოლექტივები სასცენო სამოსითა და ხალხური საკრავებით, რეგიონების სახელოვნებო და სამხატვრო სკოლები და საესტრადო ანსამბლები სამხატვრო ინვენტარით, ხალხური საკრავებითა და საესტრადო მუსიკალური ინსტრუმენტებით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საზღვარგარეთ ჩატარდა 2 პრეზენტაცია საქართველოს დღეები;
- საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული 36 მუსიკალური ფესტივალი, 261 კონცერტი, 34 გასტროლი, 2167 სპექტაკლი, 34 მასტერკლასი, 23 პოეზიის საღამო და 26 გამოფენა;
- განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასმედიისა და საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობა - 268.0 ათასამდე კაცი;
- ეროვნულ უმცირესობათა კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების რაოდენობა - 3;
- გამოიცა 50 წიგნი, 20 ალბომი-კატალოგი, 91 ჟურნალ-გაზეთი;
- ახალი გადაღებული ფილმის რაოდენობა - 4;
- კულტურის ობიექტების კინოჩვენებების აპარატურით აღჭურვა 9 მუნიციპალიტეტში.

8.2. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ - საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ - „ქართული სპორტის მუზეუმი“.
- ✓ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი

დასახული საბოლოო შედეგები:

- სპორტულ ცხოვრებაში ბავშვების და მოზარდების აქტიურად ჩაბმა;
- მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა;
- ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ფიფას სტანდარტებით საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მოწყობა, შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურებით ნაკრებების უზრუნველყოფა;
- მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობის ზრდა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით შევსებული ქვეყნის ნაკრები გუნდები;
- გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა;
- ფიფას სტანდარტებით მოწყობილი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა;
- შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურებით უზრუნველყოფილი ნაკრებები;
- მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაიზარდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა;
- სპორტის 45 სახეობაში ჩატარდა 100 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 190 სასწავლო - საწვრთნო შეკრება;
- მონაწილეობა მიღებულ იქნა 150 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში, საქართველოს სპორტსმენებმა მოიპოვეს 197 ოქროს, 156 ვერცხლის და 188 ბრინჯაოს მედალი, სულ 541 მედალი;
- გაიზარდა სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა.

8.4. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები.

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები;
- მოეწყო მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა;
- რესტავრირებული კულტურული ძეგლებისა და ექსპონატების რაოდენობა.

8.4.1. მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები და სახლ - მუზეუმები.

დასახული შუალედური შედეგები:

- მუზეუმების ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- მუზეუმებში დაცული ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვის მიზნით სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება;
- მუზეუმებში მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვის მიზნით მუზეუმის სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტებისათვის ტრენინგებისა და ვორქშოპების ჩატარება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა;
- საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ერთობლივი პროექტების შემუშავება, ქვეყნის მუზეუმების ინფორმირება საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში მიმდინარე სიახლეებზე;
- მუზეუმების პოპულარიზაციის მიზნით გზამკვლევებისა და კატალოგების გამოცემა, ახალი ექსპოზიციების მოწყობისათვის ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხელი შეეწყო მუზეუმების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას;
- სამუზეუმო საქმის მენეჯმენტის განვითარების მიმართულებით ჩატარდა ტრენინგები და ვორქშოპები;
- მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვის მიზნით მიღებულ იქნა პრევენციული ზომები - რესტავრაცია-კონსერვაცია ჩატარდა მუზეუმებში დაცულ განსაკუთრებით დაზიანებულ სხვადასხვა სახეობის ექსპონატებს;
- საერთაშორისო სამუზეუმო ინსტიტუციებთან ურთიერთთანამშრომლობით შემუშავდა ერთობლივი პროექტები, რომლის განხორციელებაშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო სამუზეუმო სფეროში აღიარებულმა ექსპერტებმა, რითაც ხელი შეეწყო ქვეყანაში სამუზეუმო რეფორმის ქმედით განხორციელებას და საქართველოს მუზეუმების ეტაპობრივ გადასვლას საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებზე.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 402.0 ათასამდე;
- მუზეუმებში მოწყობილი გამოფენებისა და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა - 56;
- მუზეუმებში დაცული ექსპონატების რესტავრაცია - 350;
- მუზეუმების საექსპოზიციო/ფონდსაცავის რეაბილიტაცია - 8.

8.4.2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო;

დასახული შუალედური შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნება განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები;
- განხორციელდება ტერიტორიის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნება საპროექტო დოკუმენტაცია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდება რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემები აისახება საინფორმაციო სივრცეში;
- განხორციელდება ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
- მომზადდება მასალები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- რეაბილიტაცია/კონსერვაციის შედეგად შენარჩუნებულ იქნა განადგურების საშიშროების წინაშე მდგარი კულტურული მემკვიდრეობის რიგი ძეგლები;
- განხორციელდა ტერიტორიის მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციის მიზნით შეიქმნა საპროექტო დოკუმენტაცია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასდება რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობა;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემები აისახება საინფორმაციო სივრცეში;
- განხორციელდება ღონისძიებები კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
- მომზადდება მასალები კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 90-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი;
- მუზეუმ-ნაკრძალების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა ტრენინგი;
- კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით გამოცემული 10-მდე სახეობის ნაბეჭდი პროდუქცია;
- ვიზიტორთა რაოდენობა 7 %-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

8.6. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

- ✓ სსიპ - ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ - საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

დასახული საბოლოო შედეგები:

- საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, სამოქალაქო თვითშეგნებითა და პატრიოტული სულისკვეთებით გაზრდილი ახალგაზრდები;
- ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების აქტივობების ზრდა;
- ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის საქმიანი თანამშრომლობა, ახალგაზრდებში გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და კანონის პატივისცემა, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა;
- კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდულ სექტორში მასობრივად ჩართული სუბიექტები, კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები, საზოგადოებაში მაქსიმალურად ინტეგრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდები;
- მოზარდთა ინტერესების შესაბამისად შექმნილ პროფილურ წრეებში, ცენტრებში, კლუბებში და სტუდიებში ჩართული ბავშვები. სწავლაში, ხელოვნებასა და სპორტში განსაკუთრებით გამორჩეული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, მათ შორის სოციალურად დაუცველებისათვის ჩატარებული ტრენინგ-სემინარები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონცერტები, ფესტივალები, გამოფენები, ოლიმპიადები, საქველმოქმედო აქციები და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარი ბავშვების, მოზარდების, ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა, მათ შორის: ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტების მიხედვით - 81 000 ბენეფიციარი, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის (მ.შ.მომავლის ბანაკის“) მიერ განხორციელებული პროექტების მიხედვით - 7 433 ბენეფიციარი, საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების მიხედვით - 10 000 ბენეფიციარი, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიხედვით - 45 000 ბენეფიციარი;
- წარმატებული, ინიციატივიანი, წახალისებული და მოტივირებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა.

8.8. სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენების და სპორტის მუშაკების ფინანსური მხარდაჭერა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სოციალურად და ფინანსურად უზრუნველყოფილი ოლიმპიური ჩემპიონები და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულები;

- გამოჩენილ ვეტერან სპორტსმენთა, დამსახურებულ მუშაკთა და დაინვალიდებულ სპორტსმენთა გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები;
- საქართველოს წამყვან სპორტსმენთა, მწვრთნელთა და ნაკრებების მომსახურე პერსონალთა გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები და სოციალური მდგომარეობა, სპორტული მაჩვენებლების გაზრდა და სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ფინანსურად უზრუნველყოფილი პროგრამის ბენეფიციარების და სტიმულირებული სპორტსმენების რაოდენობა - 769 ბენეფიციარი;

8.9. კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის და ფინანსური ძლიერების პროგრამა (პროგრამული კოდი 33 05)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი.

დასახული შუალედური შედეგები:

- დაუგეგმავი პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პრობლემების გადაჭრა, კრიზისების მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გადაჭრილი პრობლემების (კრიზისების) რაოდენობა - 1;
- გადაუდებელი ღონისძიებების რაოდენობა - 12;
- სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ჩატარებული რონისძიებების რაოდენობა - 1;
- ფინანსურად მომგებიანი პროექტების რაოდენობა - 2;
- დოტაციაზე მყოფი ორგანიზაციების შემოსავლები - 3.

8.9.1. კულტურის სფეროს ფინანსური გაძლიერების პროგრამა (პროგრამული კოდი 33 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- დაუგეგმავი პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პრობლემების გადაჭრა, კრიზისების მართვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გადაჭრილი პრობლემების (კრიზისების) რაოდენობა - 1;
- გადაუდებელი ღონისძიებების რაოდენობა - 12;
- სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ჩატარებული რონისძიებების რაოდენობა - 1;

8.9.2 კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი (პროგრამული კოდი 33 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

- ✓ სსიპ - კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდი.

დასახული შუალედური შედეგები

- პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა

მიღწეული შუალედური შედეგები

- პრობლემების გადაჭრა, კრიზისების მართვა

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები:

- ფინანსურად მომგებიანი პროექტების რაოდენობა - 2;
- დოტაციაზე მყოფი ორგანიზაციების შემოსავლები - 3.

8.10. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში განხორციელებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ახალგაზრდობაში დამკვიდრებული ჯანსაღი ცხოვრების წესი;
- წახალისებული ახალგაზრდული ინიციატივები;
- მასობრივი სპორტი;
- მიღწეული მაღალი სპორტული შედეგები.

9. პრიორიტეტი – საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	90,058.8	89,998.8	89,097.3	89,097.3	
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5,094.0	5,094.0	4,984.0	4,984.0	
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,260.5	1,260.5	1,254.7	1,254.7	
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		96,413.3	96,353.3	95,336.1	95,336.1	0.0

9.1.1. საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგები:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დამგმობი განცხადებების/სხვა დოკუმენტების მიღება;
- ჟენევის მოლაპარაკებების არსებული ფორმატის და დღის წესრიგის უცვლელად შენარჩუნება;
- საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული რუსეთის უკანონო ქმედებების დაგმობა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან;
- დევნილების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე;
- ევროკავშირთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავება და ახალი მიზნების/პერსპექტივების დასახვა; „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი გაგრძელება; ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია და ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში საქართველოს ჩართულობის ხელშეწყობა;
- ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის ეფექტიანად წარმართვა და საქართველოსადმი ევროკავშირის პოლიტიკური მხარდაჭერის მოზილიზება;
- ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველოს მიერ ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე მიღწეული პროგრესის სათანადო ასახვა;
- ANP-ის წარმატებით განხორციელების შედეგად ნატო-ს სტანდარტებთან მიახლოება;
- ამერიკის შეერთებული შტატებთან და ევროპის სახელმწიფოებთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება; მათი მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება;
- გაერო-ს სტრუქტურებთან თანამშრომლობის გაღრმავება და იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ რეზოლუციის მხარდამჭერ სახელმწიფოთა რიცხვის ზრდა, ასევე საქართველოს არჩევა გაერო-ს ქვეუწყებებში;
- ეუთო-სთან და ევროსაბჭოსთან მუშაობის გააქტიურება ყველა სფეროში;
- ევროპის საბჭოს რეზოლუციებში და შესაბამის დოკუმენტებში საქართველოს წინაშე არსებული საკითხების ადეკვატური ასახვა;
- ევროპის საბჭოს მხრიდან რუსეთზე ზეწოლის გაძლიერება, რათა მან შეასრულოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციებით დაკისრებული ვალდებულებები;
- ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, რეგიონებში დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნა და ამ რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა სფეროში ურთიერთობების გაღრმავება;
- საქართველოს საინვესტიციო კლიმატისა და საინვესტიციო სფეროების, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო რეჟიმის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება;
- ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების

(OECD, WTO, ICAO, IMO), გაეროს ეკონომიკური კომისიებისა (ECOSOC, UNECE, UNESCAP, UNCTAD) და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (BSEC, სუამი) ფორმატებში.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- შენარჩუნდა და განმტკიცდა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების ტენდენციები. 2014 წლის განმავლობაში არც ერთ ქვეყანას არ უღიარებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ „დამოუკიდებლობა“, ამასთან ერთმა სახელმწიფომ (ტუვალუმ) აღიარება უკან გაიწვია;
- გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ერიტორიული მთლიანობის და დევნილთა უფლებების მხარდამჭერი რეზოლუციები და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან შენარჩუნდა არაღიარების პოლიტიკა;
- „საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ მიღებული რეზოლუციის მხარდამჭერი სახელმწიფოების რიცხვი 69–მდე გაიზარდა;
- „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტზე საქართველომ წარმატებით წარმოაჩინა ევროინტეგრაციის კუთხით მიღწეული პროგრესი, რაც შესაბამისად აისახა სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში;
- ქ.ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას;
- საქართველომ მიიღო ალიანსის დადებითი შეფასება წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) განხორციელებასთან დაკავშირებით, ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველოს მიენიჭა „არსებითი ღონისძიებათა პაკეტი“;
- გაიზარდა საქართველოს როლი გლობალური უსაფრთხოების ხელშეწყობის კონტექსტში;
- აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას. აშშ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის საკითხს და აღნიშნულ თანამშრომლობას განიხილავს, როგორც ორმხრივად სტრატეგიული მნიშვნელობის პროცესს, რომელზეც დაფუძნებულია ორი ქვეყნის საიმედო და მტკიცე ურთიერთობები; აშშ და საქართველო აგრძელებენ მაღალი დონის ეკონომიკურ და საინვესტიციო დიალოგს; აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისია რჩება საქართველოსა და ამერიკას შორის თანამშრომლობის მართვისა და პრიორიტეტიზაციის მთავარ მექანიზმად;
- ურთიერთობები განვითარდა ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან, სამხრეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასთან; მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა აფრიკის კონტინენტის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარებისათვის; კიდევ უფრო გაღრმავდა თანამშრომლობა არაბულ სახელმწიფოებთან და არაბული სახელმწიფოების ლიგის სამდივნოსთან. მიმდინარეობდა თანამშრომლობის განვითარება სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოსთან (GCC);
- 12 ქვეყანასთან (ბელგია, ლიტვა, კვიპროსი, მალტა, საბერძნეთი, რუმინეთი, სლოვენია, დანია, ესტონეთი, ლიტვა, ესპანეთი, შვეიცარია) ხელი მოეწერა შესაბამის ურთიერთგაგების მემორანდუმებს მეზღვაურთა კომპეტენციისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ორმხივი აღიარების შესახებ;
- 20 სექტემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში გაიმართა „სამხრეთის დერეფნის“ ენერგეტიკული პროექტის სამირკვლის ჩაყრის ცერემონია („შაჰ დენიზის“ საბადოს მეორე ფაზის განვითარება);
- 20 აგვისტოს შედგა ევროპის ენერგეტიკული ქარტიის გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში, რომლის შედეგადაც გადაწყდა, რომ საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში, საფლაგმანო ინიციატივა გახდება ელექტროენერგიის ტრანზიტი რეგიონში და საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

- ნოემბერში გამართულ EFTA-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოსთან თავისუფალი სავაჭრო ზონის ჩამოყალიბების საკითხზე მოლაპარაკებების დაწყების შესახებ;
- დახმარება გაეწია საქართველოს მრავალ მოქალაქეს. განხორციელდა სხვადასხვა სახის საკონსულო დახმარება, მათ შორის: ადგილსამყოფელი სახელმწიფოების სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფი საქართველოს მოქალაქეების მონახულება, სასამართლო პროცესებზე დასწრება, გარდაცვლილთა გადმოსვენების პროცესის ორგანიზება და ქართველი ეზღვაურებისათვის დახმარების აღმოჩენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- წლის განმავლობაში მიღებულ იქნა საქართველოს მხარადამჭერი არაერთი განცხადება/რეზოლუცია;
- გაიზარდა ადგილნაცვალ პირთა რეზოლუციის მხარადამჭერ სახელმწიფოთა რაოდენობა;
- საქართველო არჩეულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს/კომიტეტის წევრად;
- საქართველოში გაიმართა მრავალი სხვადასხვა რანგის ვიზიტი, მათ შორის უმაღლესი და მაღალი რანგის ვიზიტები;
- მიღწეულ იქნა წინსვლა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობაში, ახალი შეთანხმებების გაფორმების და ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის გზით;
- გაიმართა პოლიტიკური კონსულტაციები ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკისა და ავსტრალიის კონტინენტების წარმომადგენელ 15 სახელმწიფოსთან; ასევე, გაიმართა ორმხივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომები და ბიზნეს ფორუმები 30 მდე სახელმწიფოსთან;
- 2014 წლის მონაცემებით, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ხელი მოეწერა 25 ხელშეკრულებას, ხოლო ძალაში შევიდა 36 ხელშეკრულება;

9.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დასახული შუალედური შედეგი:

- საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე;
- პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მიღებულ იქნა ქვეყნისათვის მხარადამჭერი რეზოლუციები, ასევე საქართველო არჩეულ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციის კომიტეტებისა და საბჭოს წევრად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში (აგრეთვე, ამ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ სხვადასხვა კონვენციაში, კომისიაში, ჯგუფში, ღონისძიებაში და ა.შ), რომლებშიც საქართველო არის გაწევრიანებული.

9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო

დასახული შუალედური შედეგი:

- დოკუმენტების თარგმნის ხარისხის გაუმჯობესება, სხვადასხვა ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ხარისხიანი ნათარგმნი დოკუმენტაციით უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმება, სულ 10377 გვერდი.

10. პრიორიტეტი – სოფლის მეურნეობა

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	206,701.7	206,701.7	201,101.1	201,101.1	
37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	27,072.6	24,972.6	28,198.9	24,943.3	3,255.6
37 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	40,760.7	40,440.7	39,993.2	39,711.6	281.6
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		274,535.0	272,115.0	269,293.2	265,756.0	3,537.2

10.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“;
- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“;
- ✓ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“.

დასახული საბოლოო შედეგები:

- სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა;
- დამუშავებული ფართობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა;
- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელებული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებების შედეგად გაიზარდა გასარწყავებული და დამშრობილი ფართობის მაჩვენებელი;
- სოფლის მეურნეობის დარგში შეიქმნა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები;
- გაიზარდა დამუშავებული მიწის ფართობის მაჩვენებელი;
- განხორციელებული გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გაცემულია 18.0 ათასზე მეტი შეღავათიანი სესხი (ლიზინგი).
- 2014 წლებში შეღავათიანი სესხით დაფინანსდა 26 ახალი და გადაიარაღდა 306 არსებული საწარმო.
- დაახლოებით 700.0 ათასმა მცირემიწიანმა ფერმერმა მიიღო პროგრამით გათვალისწინებული ხვნის სერვისი ან/და სასოფლო სამეურნეო დანიშნულების საქონელი;
- 220 ათას ჰა-ზე მეტი მოხსნული მიწის ფართობი.
- ექსპლუატაციაში შევიდა 24.1 ათასი ჰა სარწყავი და 7.9 ათასი ჰა დამშრობილი ფართობი.

10.1.3 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“

დასახული შუალედური შედეგები:

- წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- დამშრობილი და გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 11 ობიექტზე, ხოლო 31 ობიექტზე მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება განაპირობებს წყლის რესურსების ეფექტურ და ეკონომიურ გამოყენებას და გასარწყავებელი ფართობების ზრდას.
- მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:
- ექსპლუატაციაში შევიდა 18 700 ჰა სარწყავი და 7 900 ჰა დაშრობილი ფართობი;
- შესყიდულია 157 ერთეული სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა

10.1.4 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა.
- აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- განხორციელებული გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის, ღვინისა და სამზარეულოს პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 5 სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ საგამოფენო ღონისძიებებზე.

10.1.5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

- მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭებისათვის განცხადებების მიღება. რის შედეგადაც 464 კოოპერატივს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი.

10.1.6 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 37 01 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“

დასახული შუალედური შედეგები:

- ახალი ინოვაციური აგრარული ტექნოლოგიების დანერგვა და გავრცელება;
- ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გავრცელება;
- ნიადაგური საფარის რაციონალურად გამოყენება;

მიღწეული შუალედური შედეგები:

- ჩატარდა ვაზის ფართოდ კულტივირებული და მცირედ გავრცელებული საღვინე და სასუფრე მიმართულების ადგილობრივი ჯიშების შესწავლა (55 ჯიში);
- სხვადასხვა ფილოქსერაგამძლე სამირიებზე დაიმყნო და სანერგეში გამოყვანილ იქნა 200-ზე მეტი ჯიშის ვაზის ნამყენი ნერგი;
- განხორციელდა ხეხილის 80 ჯიშის სამეურნეო-ბიოლოგიური თავისებურებების შესწავლისა და პომოლოგიური აღწერის პირველი ეტაპი;
- ჩატარდა 10 ჯიშის პომოლოგიური აღწერა;
- ჯიშთაგამოცდის ახალი კოლექციის მოწყობის მიზნით შემუშავდა 40 ჯიშის საინტროდუციო სია;
- მომზადდა ახალი კოლექციის გაშენების პროექტი, საქართველოს კუთხეების ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და ჯიშური მრავალფეროვნების გათვალისწინებით და დაიმყნო 60-ზე მეტი ჯიშის ხეხილის ნამყენი ნერგი;
- 16 რაიონში მოეწყო თავთავიანი კულტურების ჯიშთა შერჩევის სანერგე 30,85 ჰა-ზე. დაითესა ადგილობრივი და ინტროდუცირებული ხორბლის 47 ნიმუში;
- დამუშავდა კარტოფილის, თამბაქოს და საშემოდგომო თავთავიანი კულტურების წარმოების თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები. დამუშავდა სატრაქტორო სახნავი აგრეგატების საკიდი სისტემის გაუმჯობესებული სქემა, დამზადებულია მისი საცდელი ნიმუში; საქპატენტში გადაცემულია 10 სხვადასხვა სახის განაცხადი გამოგონებაზე;
- შეიქმნა უვირუსო ვაზისა და ხეხილის სადედე მცენარეების ბანკი;
- შესწავლილია ნიადაგის 27 ნიმუში;
- განხორციელდა იშვიათი ჯიშების ყურძნისგან ღვინის საანალიზო ნიმუშების მიღება და პირველადი ანალიზური კვლევა;
- დამზადდა სხვადასხვა დასახელების გადამამუშავებული პროდუქტების საკვლევი ნიმუშები მათ შორის დეალკოჰოლიზებული ღვინო და ფუნქციონალური დატვირთვის პროდუქტები.

10.1.7 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 01 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;
- ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება;
- დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- სოფლის მეურნეობის დარგში შეიქმნა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები;
- პროექტის განხორციელებით გაიზარდა შეღავათიან აგროკრედიტზე ხელმისაწვდომობა;
- გაიზარდა საბანკო სექტორის მონაწილეობა სოფლის მეურნეობის დარგში.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- საანგარიშო პერიოდში გაცემულია 18 000-ზე მეტი სესხი (ლიზინგი);
- შეღავათიანი სესხით დაფინანსდა 26 ახალი და გადაიარაღდა 306 არსებული საწარმო;

- პროექტში მონაწილეობდა 15 ბანკი.

10.1.8 მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 08)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები:

- სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირება;
- ბენეფიციარების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- დამუშავებული მიწის ფართობის ზრდა;
- მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- დაახლოებით 700 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო პროგრამით გათვალისწინებული სარგებელი;
- 220 ათას ჰა-ზე მეტი მოხსნული მიწის ფართობი.

10.1.9 აგროსექტორის განვითარება/ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 01 09)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დასახული შუალედური შედეგები:

- ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი სოფლის მოსახლეობა;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გაუმჯობესებულია სარწყავი წყლის მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

- ლიზინგის სისტემით დაფინანსებულია 15 პროექტი;
- განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად გაუმჯობესებულია სარწყავი წყლის მიწოდება 5 424 ჰა ფართობზე;

10.1.15 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 15)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- საანგარიშო პერიოდში გაცემულია 21 000 - ზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 18 000 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი და 150.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების მოსავალი.

10.1.16 ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 16)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
- მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული ვაშლის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც 2014 წლის 20 ნოემბრამდე 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლს შეისყიდოდა არანაკლებ 0,10 ლარად, სააგენტო გასცემდა სუბსიდიას 1 კგ. არასტანდარტულ ვაშლზე - 0,08 ლარის ოდენობით. ჩაბარებულია 43 376 ტონა არასტანდარტული ვაშლი.

10.1.17 ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 17)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
- ყურძნის შესყიდვის, გადამამუშავებისა და თანმდევი ღონისძიებების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხებიდან შპს „გრუზვინპრომის“ მიერ შესყიდული და გადამამუშავებულია 40.3 მლნ კილოგრამი ყურძენი.

10.1.19 მანდარინის (არასტანდარტული) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 19)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“
- მეხილეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული არასტანდარტული მანდარინის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავებელ კომპანიები 1 კგ. არასტანდარტულ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდოდა, სააგენტო 1 კგ არასტანდარტულ მანდარინზე გასცემდა სუბსიდიას 0,10 ლარის ოდენობით. გადამამუშავებული კომპანიების მიერ მიღებულია 9 973 ტონა არასტანდარტული მანდარინი.

10.2. სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - „სურსათის ეროვნული სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

დასახული საბოლოო შედეგები:

- სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა;
- განსაკუთრებით საშიში მავნებლებისგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით;

- ეპიზოტური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნება და სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება;
- ბაზარზე უსაფრთხო პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა;
- ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში სწორი ტესტირება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ამა თუ იმ დაავადებების პროფილაქტიკა და გამოვლენის შემთხვევაში ლოკალიზება-ლიკვიდაცია;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გატარებული ღონისძიებების შედეგად სამომხმარებლო ბაზარზე აღკვეთილ იქნა მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტები;
- პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული ვაქცინაციისა და ინფექციის კერებში გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოტური სიტუაცია;
- მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბიოლოგიურმა ეფექტმა შეადგინა 80-85%, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი. ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად დროულად განისაზღვრა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ვადები და ჩატარების ადგილები;
- გატარებული ღონისძიებების შედეგად აღკვეთილ იქნა ბაზარზე უხარისხო ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევის ფაქტები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- აღებული იქნა სურსათის (მ.შ. სასმელი წყლის) 4.2 ათასი ნიმუში/სინჯი. ლაბორატორიული კვლევების შედეგების მიხედვით 1.5 ათასი ნიმუში არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. სულ განხორციელდა 5.2 ათასი ინსპექტირება, მათ შორის: 2.1 ათასი გეგმიური, 0.6 ათასი არაგეგმიური და 2.4 ათასი გადამოწმების მიზნით. ბოსნესოპერატორების შემოწმებისას გამოვლინდა 0.3 ათასი კრიტიკული და 26.9 ათასი არაკრიტიკული შეუსაბამობა;
- თურქულის დაავადებაზე პროფილაქტიკური მიზნით ვაქცინირებულია დაახლოებით 1 617.5 ათასი სული მსხვილფეხა და 1 005.5 ათასი სული წვრილფეხა პირუტყვი;
- ჯილეხზე პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინირებულია 402.6 ათასი სული მსხვილფეხა, 545.0 ათასი წვრილფეხა პირუტყვი და 5.1 ათასი კენტრლიქიანი ცხოველი;
- ჯილეხის იძულებითი პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩაუტარდა 6.4 ათასი სულ ჯილეხის ამთვისებელ ცხოველს;
- ცოფზე პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინირებულია 234.2 ათასი სული შინაური ხორცისმჭამელი ცხოველი (მალი, კატა). დაავადების კერებში იძულებით ვაქცინაცია ჩაუტარდა 43.4 ათასი სულ ცოფის ამთვისებელ ცხოველს;
- იდენტიფიკაცია ჩაუტარდა 281.4 ათასი მსხვილფეხა პირუტყვს;
- ამერიკული თეთრი პეპელას წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფართობმა შეადგინა 293.3 ჰა;
- კალიების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების ფართობია 49.0 ათასი ჰა;
- ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის კონტროლის მიზნით შემენილი და გამოკვლეული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 0.2 ათასი ნიმუში. უვარგისად მიჩნეულ იქნა 5 ვეტ-პრეპარატი (საქართველოში წარმოებული). შემოწმებული იქნა 220 ობიექტი. გეგმიური კონტროლის განხორციელებისას გამოვლენილი და განადგურებული იქნა 17 ამპულა ფალსიფიცირებული და 80 აბი ვადაგასული ვეტ-პრეპარატი;
- ლაბორატორიული კვლევა განხორციელდა ყველა წარმოდგენილ ვარგის 274.7 ათასი ნიმუშზე.

10.3. მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დასახული საბოლოო შედეგები:

- ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისება;
- მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან;
- ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა;
- სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა;
- იშვიათი და უნიკალური ვაზის ჯიშებით გაშენებული ვენახების ფართობის და შესაბამისად მევენახეობა-მეღვინეობაში დასაქმებული პირების რაოდენობის ზრდა;
- ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიო ბაზარზე;
- ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ღვინოპროდუქციის მწარმოებელი ქართული კომპანიების მიერ ათვისებული იქნა ახალი ბაზრები: ავსტრალია, კორეა, ტაილანდი, აფრიკა, საბერძნეთი და სხვა. ღვინის ექსპორტი განხორციელდა 46 ქვეყანაში და 59.1 მლნ (0,75ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 26%-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს, 19 ქვეყანაში ექსპორტირებულია 13. 0 მლნ (0,5ლ) ბოთლი ბრენდი, რაც 9%-ით აღემატება გასული წლის მონაცემებს;
- ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებულია 108.5 ათასი ტონა ყურძენი. ყურძნის მოსავალი დაბინავდა სრულად;
- საკადასტრო აზომვებით რაჭაში და ლეჩხუმში დადგენილი იქნა ვენახების ფართობები;
- ფართობებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სანედლეულო ბაზის განსაზღვრა რაჭა-ლეჩხუმის ყურძნისათვის;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციებით ინფორმაცია მიეწოდა ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოს, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ცენტრის, მდიდარი გენოფონდის მქონე ქვეყნის შესახებ, რითაც გაიზარდა ინტერესი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ექსპორტირებულია 184 927.8 ათასი აშშ დოლარის ღვინის პროდუქცია, რაც 30% - ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს; ამავე პერიოდში ბრენდის ექსპორტმა თანხაში 41 136.3 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 15 %-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.
- ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში გამართულ 30-ზე მეტ ღონისძიებაში. მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 11 გამოფენა მსოფლიოს 8 ქვეყანაში, ღვინის ტურიზმის ორი საერთაშორისო კონფერენცია და ორი ღვინის ფესტივალი.
- ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებულია 108.5 ათასი ტონა ყურძენი.
- კახეთის რეგიონის მოსახლეობამ ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლის სახით 175,0 მილიონ ლარზე მეტი მიიღო.
- დადგენილია ვენახების ფართობები - რაჭაში 572.3 ჰა ვენახი, ლეჩხუმში 230 ჰა ვენახი.
- დადგენილ იქნა ორი მიკროზონის (ხვანჭკარას და ტვიშის) ვენახების ფართობები.
- ექსპედიციური კვლევის შედეგად შეგროვილი იქნა თანამედროვე და ველური ვაზის ჯიშების ნიმუშები და განხორციელდა 279 ჯიშის დნმ-ის ექსტრაქცია და გენოტიპების იდენტიფიკაცია.
- ლაბორატორიული კვლევისათვის აღებულ იქნა ღვინოპროდუქციის 41 ნიმუში 6 სხვადასხვა კომპანიიდან.

11. პრიორიტეტი – სასამართლო სისტემა

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	46,310.0	46,210.0	46,131.0	45,818.8	312.2
08 01	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,615.0	6,615.0	6,593.1	6,593.1	
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	21,500.0	3,500.0	3,500.0	3,500.0	
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,315.0	3,315.0	3,116.7	3,116.7	
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,495.0	2,495.0	2,319.8	2,319.8	
26 12	ადრულეების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	27,600.0		33,152.8		33,152.8
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		107,835.0	62,135.0	94,813.4	61,348.4	33,465.0

11.1. საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 09 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი.

დასახული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით უზრუნველყოფა;
- საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება;
- საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები სრულად იქნენ უზრუნველყოფილნი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით;
- განახლდა საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესები სრულად იყო უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსით;
- განხორციელდა საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსამართლეთა და აპარატის თანამშრომელთა პროცენტული რაოდენობა, ვინც სრულად იქნა უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით - 100%.
- მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 68.
- ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები - 100%, 63 ნაფიცი მსაჯული.
- მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო სიახლეების შესახებ მომზადებული სარეკლამო რგოლების/კლიპების/საგაზეთო პუბლიკაციების რაოდენობა. (საგაზეთო პუბლიკაციები - 42 184 სმ2, რადიოგადაცემა - 32, ტელეგადაცემა - 16)

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (პროგრამული კოდი 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

დასახული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესება;
- მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცება;
- კვალიფიციური სასამართლო კორპუსი ჩამოყალიბება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- კვალიფიციური კადრებით შევსებული ადგილების რაოდენობა;

12. პრიორიტეტი – გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

კოდი	დასახელება	2014 წლის გეგმა	მ.შ.ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2014 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ.ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	11,128.4	10,128.4	12,004.4	10,593.1	1,411.3
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	15,942.0	7,342.0	13,858.1	7,398.7	6,459.4
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	7,748.1	7,748.1	7,714.2	7,714.2	0.0
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5,440.4	5,440.4	5,340.2	5,340.2	0.0
38 06	გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	456.5	376.5	817.0	742.8	74.2
38 05	სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	520.0	270.0	493.0	296.5	196.5
38 07	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	5,000.0	0.0	8,061.8	299.6	7,762.2
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		46,235.4	31,305.4	48,288.6	32,385.0	15,903.6

12.1. დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა, ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნება;
- ეკოტურიზმის განვითარება და დაცულ ტერიტორიებში ტურისტული ნაკადების მოცულობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვისა და აღდგენის გატარებული ღონისძიებები;
- საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის განხორციელებული დაცვის ზომები;
- დაზუსტებული ინფორმაცია დაცულ ტერიტორიებზე არსებული ძირითადი სახეობების, მათ შორის „წითელ ნუსხაში“ შეტანილ და გადაშენების პირას მყოფ ცხოველთა და მცენარეთა რიცხოვნობისა და მდგომარეობის შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ეკოდერეფნებით ერთმანეთთან დაკავშირებული დაცული ტერიტორიები;
- საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გადაშენებული სახეობების რეინტროდუქციის (სახეობების აღდგენა ისტორიულ არეალებში) გზით ჯანსაღი პოპულაციების რიცხოვნობის გაზრდილი რაოდენობა (ნიაშორი/ჯეირანი);
- ეკოტურიზმის სფეროში და დაცულ ტერიტორიებში ტურისტებისათვის მიწოდებული სერვისების რაოდენობა;
- დაცულ ტერიტორიებზე ტურისტებისა და ვიზიტორთა 30%-ით მომატება.

12.2. სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება, რესურსების მართვის არსებული ელექტრონული სისტემის განვითარება;
- მერქნულ რესურსზე ტყეკაფების გამოყოფა;
- ტყეების მრავალფუნქციური დანიშნულებით გამოყენების მექანიზმების შემუშავება;
- ტყის მოვლის, ინვენტარიზაციის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიღებული იქნა ცვლილებები ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში, შემუშავდა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის წარმოების ინსტრუქცია;
- მოსახლეობისათვის გამოიყო ტყეკაფები, აქცია „მწვანე მომავალის“ ფარგლებში დაირგო 200 000-მდე ნერგი;
- შეიქმნა ერთიანი მონაცემთა ბაზა ტყის ფართობების შესახებ;
- მომზადდა ტყის აღდგენის 6 პროექტი;

- განხორციელდა მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებები შემუშავდა ტექნიკური დავალებები ტყის ფონდის ტერიტორიაზე ზვის კორომების პათოლოგიური გამოკვლევების უზრუნველსაყოფად; მოეწყო სატყეო სამეურნეო გზები 57.085კმ-ზე;
- დაიწყო ხე-ტყის დამზადების საპილოტე პროექტი და აუქციონებზე გაყიდულმა მერქნული რესურსის მოცულობამ შეადგინა 3142,2 მ

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში და შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში გატარებული ცვლილებები;
- სოციალური ჭრის ფარგლებში გამოყოფილი ტყეკაფები 692,2 ათ.მ3 მერქნული რესურსის მისაღებად;
- დარეგულირებული ტყითსარგებლობა და გაზრდილი ტყის ფონდის ფიზიკური დაცვის ხარისხი საშუალოდ 10%-ით;
- შემუშავებული ტყის მართვის გეგმები ბორჯომ-ბაკურიანისა და ხარაგაულის სატყეო უბნებისთვის.

12.3. გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დასახული შუალედური შედეგები:

- გარემოსდაცვითი კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტური სისტემის შექმნა.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მომზადდა საკანონმდებლო ინიციატივები, 2015 წლის რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმის პროექტი, ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, გარემოს დაბინძურების ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის, ასევე ორგანიზაციათა მომართვებზე, მოქალაქეთა საჩივრებზე და შეტყობინებებზე რეაგირების მიზნით ამოქმედდა „ცხელი ხაზი - 153“. სადაც სამართალდარღვევების შესახებ შემოვიდა 2163 ზარი. დაწესებულია 24-საათიანი პატრულირება „ცხელ წერტილებში“ (ხე-ტყის, თევზის, ნადირ-ფრინველის, წიაღისეულის მოპოვების ადგილებსა და მისასვლელ გზებთან);
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების შესწავლის მიზნით, მიმდინარეობდა რეგულირების ობიექტების - ტექნიკურ რეგლამენტს დაქვემდებარებული საწარმოების ინსპექტირება;
- საანგარიშო პეროდში შეძენილ იქნა ტექნიკური აღჭურვილობა: GPS ნავიგატორები სწრაფი რეაგირების ავტომატური სისტემების, სამკერდე კამერები, ფანრები სწრაფი რეაგირების ეკიპაჟებისათვის, სპეციალური ტანსაცმელი, GPS მოწყობილობა და GIS-პროგრამა ინსპექტორებისათვის, კარავები მეტყვევ ინსპექტორებისათვის;
- გაიხსნა დეპარტამენტის აღმოსავლეთ ცენტრალური და ქვემო ქართლის სამსახურების ოფისები ქ. მცხეთასა და ქ. რუსთავში;
- განხორციელდა 116 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გეგმიური შემოწმება. ასევე, არაგეგმიური შემოწმებები მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე. გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 9 797 ფაქტი. მ.შ: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის – 9 410 ფაქტი; სისხლის სამართლის ნიშნების – 387 ფაქტი, სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 4.3 მლნ ლარზე მეტი.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის მიყენებულმა ზიანის ოდენობამ - 397.0 მლნ ლარზე მეტი;

- ამოქმედდა ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის მფლობელების ინფორმირების ელექტრონული სისტემა;
- განხორციელდა ინსპექტორების გადამზადება. მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელოები ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებზე, ნაგავსაყრელების ინსპექტორების შესახებ და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეგულირების ობიექტების დამტკიცებული შემოწმებათა გეგმა;
- 24-საათიანი სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების პატრულირების დაწესება „ცხელ წერტილებში“ (ხე-ტყის, თევზის, ნადირ-ფრინველის, წიაღისეულის მოპოვების ადგილებსა და მისასვლელ გზებთან); შექმნილი 24-საათიანი ცხელი ხაზი (153);
- გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების რაოდენობა;
- შემუშავებული ინსპექტორთა სასწავლო პროგრამის მოდულები;
- გადამზადებული 30 ინსპექტორი;

12.4. გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

დასახული საბოლოო შედეგები:

- გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში, გარემოსდაცვითი მოთხოვნების უზრუნველყოფა მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით, გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გარემოს დაცვის სისტემის სრულყოფის მიზნით გაძლიერდა გარემოსდაცვითი კონტროლი; დაიხვეწა გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის, მომზადდა და მიღებულ იქნა ნარჩენების მართვის კოდექსი, შემუშავდა სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები ტყის რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით, ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის მიზნით ჩატარდა არსებული ვითარების ანალიზი და განისაზღვრა გასატარებელი ღონისძიებები, განხორციელდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები, რათა დაცული იქნას ადამიანის კონსტიტუციური უფლება იცხოვროს ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში, ჩატარდა საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების აღრიცხვა; მომზადდა შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, გაიცა 63 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის: ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება - 8, ჰიდროელექტროსადგურის განთავსება - 7, ასფალტის წარმოება - 6, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება - 5, მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა - 5, ცემენტის წარმოება - 4, ხიდის აგება - 4, საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა - 4, ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენების მართვა -3, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის განთავსება - 3, ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების საცავის მოწყობა - 2, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა - 2, რკინიგზის მშენებლობა -2, წყალსაცავის მოწყობა -1; გაჯის წარმოება - 1; გვირაბის

აგება - 1; მინის წარმოება - 2; მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება - 1; ქიმიური მრეწველობა - 1; თბოელექტროსადგურის განთავსება - 1.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები;
- მიღებული ახალი კანონი, სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები;
- კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვები;
- საქმიანობის შესწავლის საფუძველზე მიღებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის თანახმად შენარჩუნებული გარემოს ეკოლოგიური წონასწორობა.
- საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ცხოველთა შერჩეული ზოგიერთი სახეობის რაოდენობრივი შეფასება ქვეყნის მასშტაბით;

12.5. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

დასახული საბოლოო შედეგები:

- გარემოსდაცვით ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;
- კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი კომპონენტის სწავლება და საზოგადოების ხელმისაწვდომობა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე;
- გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გარემოსდაცვითი კომპონენტის სრულად ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმებსა და სტანდარტებში;
- შექმნილი ცენტრის ვებგვერდი, ონლაინ სერვისები;
- გაზრდილი საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერება და ჩართულობა მრავალფეროვან გარემოსდაცვით კამპანიებში;
- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სხვადასხვა უწყების 270-მდე გადამზადებული თანამშრომელი.

12.6. სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა

დასახული საბოლოო შედეგები:

- კონტეინერული და ღია გრუნტში თესვის რაოდენობის გაზრდა;
- აქცია „მწვანე მომავლის“ ფარგლებში, 150 000 - 200 000 ნერგის უსასყიდლოდ გაცემა;
- მეურნეობის შემოსავლების ზრდა,

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- კონტეინერულ და ღია გრუნტში დათესილია თესლის გაზრდილი რაოდენობა;
- საკუთარმა შემოსავლებმა 2,9-ჯერ გადააჭარბა 2013 წლის მაჩვენებელს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ორგანიზაციის მატერიალური შესაძლებლობების ზრდა;

- ნერგის ხარისხისა და რაოდენობის ზრდა;
- აქცია „მწვანე მომავლის“ ფარგლებში დარგული ხეების რაოდენობა;

12.7. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

დასახული საბოლოო შედეგები:

- ჰიდრომეტეოროლოგიური მონიტორინგი, მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებზე წინასწარი გაფრთხილებების მომზადება და გავრცელება;
- გარემოს დაბინძურების მონიტორინგის საქმიანობის გაფართოება. ინფორმაციული ბიულეტენების მომზადება, წყლის ჭაბურღილებისა და წყაროების ინვენტარიზაცია და მდგომარეობის შეფასება;
- წიაღით სარგებლობისათვის სალიცენზიოდ წარმოდგენილ ობიექტებზე გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება;
- ანალიტიკური ანგარიშების და სტრატეგიების მომზადება;
- სააგენტოს საინფორმაციო ბაზების სრულყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაფართოვდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი;
- ამინდის პროგნოზების გამართლებადობამ 92%, ხოლო ჰიდროლოგიური პროგნოზების გამართლებადობამ 87% შეადგინა, ხოლო გაცემული გაფრთხილებები მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ გამართლდა 98%-ით;
- გაფართოვდა საქართველოში გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ქსელი;
- გაიზარდა გეოლოგიური სტიქიის საშიშროებისა და გეოეკოლოგიური სიტუაციის გეომონიტორინგის დროს შეფასებული ობიექტების რაოდენობა. სავსე გასვლებით მოპოვებული გეოლოგიური ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა არსებული მდგომარეობის უკეთ შეფასება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამონტაჟებული და გამართული ავტომატური ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური სადგურისა და საგუშაგოს რაოდენობა;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასების მიზნით, რეგიონალური მონიტორინგის დროს შეფასებული 845 დასახლებული პუნქტი;
- შემუშავებული მეწყრულ-ღვარცოფული მოვლენების 732 კადასტრი ელექტრონულ ფორმატში;
- მომზადებული და გამოცემული ჰიდრომეტეოროლოგიური ბიულეტენები;
- სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით მომზადებული 83 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა და მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენის შესახებ მომზადებული და გავრცელებული 97 გაფრთხილება;
- სრულყოფილი გეოლოგიურ მონაცემთა ელექტრონული ბაზა;